სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 18 იანვარი 2006 №9 (2631) ფასი 50 თეთრი

ბრაზილიელებმა და ქართველებმა ერთმანეთს პეკინის შანსი მისცეს

ფეხბურთს თუ ვერა, ფრენბურთს მაინც ვითამაშებთ ბრაზილიურად

საქართველოს ჰყავს კაცთა საფრენბურთო ნაკრები და ამიერიდან ეყოლება პლაჟის ფრენბურთის წყვილიც, რომელიც პეკინის ოლიმპიადაზე მოსახვედრად იბრძოლებს. ამ წყვილს ძებნას ნუ დაუწყებთ საქართველოს ქვიშნარებში, რენატო გომესი და ჟორჟი ტერსეირო ბრაზილიიდან არიან, სადაც პლაჟის ფრენბურთის მეგავარსკვლავები ყავასავით ბარაქიანად ყვავიან. გადაწყვეტილია, რომ ისინი დღე-დღეზე მიიღებენ ბორჯღალიან პასპორტებს და მსოფლიო ტურებზეც ხუთჯვრიანი დროშით ითამაშებენ, უკვე ჰიმნსაც კი სწავლობენ.

ახალი ქართველები: რენატო და ჟორჟი

გალა გადარჩა

ფიფამ გადაწყვეტილება შეარბილა: მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის გახსნის გალა-წარმოდგენა შეზღუდული ფორმატით გაიმართება, ოღონდ 7 ივნისის ნაცვლად 9 ივნისს და თანაც არა ბერლინში, არამედ მიუნხენში.

გეხსომებათ, ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა გერმანელებს თავდაპირველი გეგმა არ მოუწონა: გრანდიოზული გალა-წარმოდგენა ბერლინის სტადიონის მინდორს შელანძავსო. ორგანიზატორებს ხელი მიუნხენმა გაუწოდა: იქ ხომ ორი სტადიონია და ერთი ცინცხლად დარჩება.

კანდელაკი მეორე ევროპელია

გიორგი კანდელაკის ფოტო

ევროპული სამოყვარულო კრივის ჩინოვნიკების „კრიშებით“ დაჩრდილულ ჯუნგლებში ქართველებს მეგზური გამოუჩნდათ. 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ბოლო წლებში კი აქტიური საკრივო მუშაკი გიორგი კანდელაკი ევროპის კრივის ასოციაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს, რაც ცოტაოდენ მაინც ამოასუნთქებს მუდმივი უსამართლობით გულგატეხილ ქართველ ბიჭებს. კანდელაკმა ამ თანამდებობაზე შეცვალა თურქი კანერ დოგანელი, რომლის თაღლითობამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კაბინეტებსაც უწია.

მწვრთნელის საქმეში არ ვერევით

ტოპი ნაიკთან და ადიდასთან გვიშუამდგომლებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალაცის თბილისში არყოფნაში მისმა თანაშემწეებმა გუშინ მორიგი მუშა-თათბირი გამართეს, რომლის დასრულების შემდეგაც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს ვესაუბრეთ...

ბადრი კვითელაძის ფოტო

— ჩვეულებრივი მუშა შეხვედრა იყო და ძირითადად მიმდინარე საკითხები განვიხილეთ.

— უცხოელი მეკარის მოწვევის თაობაზეც იმსჯელეთ?

— ვფიქრობ, ამ საკითხის ირგვლივ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. ჩვენ იდეის სახით შევთავაზეთ კლაუს ტოპმიოლერს, რომ ვიქნებით უცხოელი მეკარის ნატურალიზების მომხრე, თუ იგი ამის საჭიროებას დაინახავს. მაგრამ თუკი ტოპმიოლერი ქართველ მეკარეთაგან გამოარჩევს ვინმეს და მასზე გააკეთებს აქცენტს, საკითხი ავტომატურად მოიხსნება. მწვრთნელს სრული კარტ-ბლანში მივეცით.

— ვთქვათ, ტოპმიოლერმა ჩათვალა, რომ მეკარეები გვყავს, მაგრამ სხვა პოზიციაზე გვიჭირს...

— არა მგონია, ტოპმიოლერი ამ მიმართულებით წავიდეს. ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ მეკარის პოზიციაა.

— რით უნდა მოხიბლოთ უცხოელი, მაღალი დონის გამოცდილი მეკარე, საქართველოს ნაკრებში თამაშს რომ დათანხმდეს?

— ალბათ ჰონორარის გადახდა მოგვიწევს ჩატარებული მატჩების მიხედვით. თქვენს გაზეთში გერმანელ მეკარეთა დიდი ჯგუფი იყო დახასიათებული. ვთვლი, რომ, მაგალითად, „ჰამბურგის“ მეკარე შტეფან ვეხტერი არ დაგვთანხმდება — 27 წლისაა და ალბათ გერმანიის ნაკრებში მოხვედრის ამბიციაც ამოძრავებს. მგონი, იმაზე მეტს მალაპარაკებთ ამ საკითხზე, ვიდრე საჭიროა. მაღალი დონის მწვრთნელი იმიტომაც მოვიწვიეთ, რომ ამგვარი საკითხები თავად გადაწყვიტოს, ჩვენ მხოლოდ იდეალური სამუშაო პირობების შექმნა გვევალება. აქამდე შედეგს იმიტომაც ვერ ვაღწევდით, რომ მწვრთნელთა კომპეტენციაში უამრავი ადამიანი ერეოდა.

— სხვაზეც ვთქვათ. ტოპმიოლერის დანიშვნის შემდეგ შესაძლო სპონსორები ხომ არ გააქტიურდნენ?

— 27 იანვრის კენჭისყრა ბევრ რამეს გაარკვევს. სპონსორს უპირველესად ბაზარი აინტერესებს და ვამზადებთ გარკვეულ პაკეტს საქართველოში მომავალი სპონსორის პროდუქციის სავარაუდო გაყიდვების შესახებ. ტოპმიოლერს კარგი პირადი ურთიერთობები აქვს „ნაიკთან“ და „ადიდასთან“ და ალბათ ამ ფირმებთან სიტყვასაც შეგვაწევს. საერთოდაც, მისი დანიშვნის შემდეგ ჩვენი მოთხოვნები სპონსორის მიმართ, რა თქმა უნდა, გაიზრდება.

— ნაკრების მწვრთნელი, უცხოელი მეკარე, ახალი სანაკრებო ბაზა, ფეხბურთის განვითარების პროგრამა... ერთბაშად მეტისმეტად ბევრ საქმეს ხომ არ შეეჭიდეთ?

— ამის არ გვეშინია. პირიქით, ეს დამატებითი მოტივაციაა და მაქსიმუმს გავაკეთებთ. ყველა ამ საკითხის ერთი ხელის დაკვრით მოგვარებას კი კიო და ჯადოქარიც ვერ შეძლებს.

— რა ეტაპზეა ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე მუშაობა?

— ამ შემთხვევაშიც კენჭისყრის შედეგები იქნება მნიშვნელოვანი. დასათვლელია ნაკრების ხარჯები — თუ ბიუჯეტი არ განვსაზღვრეთ, გეგმაზე ლაპარაკი რთული იქნება. დაახლოებით ერთ თვეში პროგრამა ალბათ ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებს.

გიორგი ნოზაძე

„დინამოს“ მოსკოვურ მატჩებს ბევრი ქომაგი კი ესწრებოდა, მაგრამ თბილისელებმა მათ თავი ვერაფრით დაამახსოვრეს

დინამომ მოსკოვი ქულით დატოვა

თბილისს „დინამომ“ ესენგეს ჩემპიონთა ტურნირი წარუმატებლად დამთავრა. საქართველოს ჩემპიონებმა გუშინ ვერც მესამე მატჩის მოგება შეძლეს, ესტონურ ტკმკ-სთან 0:0 ითამაშეს და ჯამში ერთი ქულა აიღეს. შეგახსენებთ, რომ ესტონელებამდე თბილისელებმა ჯერ მოსკოვის ცეესკასთან წააგეს 0:1, მერე კი ტაშკენტის „ფახთაქორთან“ 1:2.

ესტონელებთან გუშინდელ მატჩში ჩვენების შემადგენლობა ასეთი იყო: *გრიშიკაშვილი (სტურუა 46), ორბელაძე (ქემოკლიძე 46), გიგაური, თომაშვილი, აკობია, ნოზაძე (მახარაძე 46), ჩირიკაშვილი, ნავალოვსკი, მეგრელაძე, ბობოხიძე (მერებაშვილი 46), მელქაძე (დვალი 46).*

თბილისის „დინამო“ მოსკოვიდან დღეს დაბრუნდება. ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას თვის ბოლომდე თბილისში გაგრძელებს, მერე კი შეკრებაზე კვიპროსზე ან თურქეთში გაემგზავრება.

კობა ინასარიძე

A ჯგუფი

მესამე ტური

ცსკა (რუსეთი) 4:3 ფახთაძორი (უზბეკეთი)

დინამო (საქართველო) 0:0 ტკმკ (ესტონეთი)

ცსკა (რუსეთი)	3	3	0	0	6:3	9
ფახთაქორი (უზბეკეთი)	3	2	0	1	8:4	6
დინამო (საქართველო)	3	0	1	2	1:3	1
ტკმკ (ესტონეთი)	3	0	1	2	0:4	1

B ჯგუფი

მესამე ტური

მეტალურგსი (ლატვია) 2:1 ვახში (ტაჯიკეთი)

ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 1:1 აქტობე (ყაზახეთი)

ნეფთჩი (აზერბაიჯანი)	3	2	1	0	6:2	7
მეტალურგსი (ლატვია)	3	2	0	1	6:3	6
აქტობე (ყაზახეთი)	3	1	1	1	2:4	4
ვახში (ტაჯიკეთი)	3	0	0	3	1:6	0

C ჯგუფი

მესამე ტური

შახტარი (უკრაინა) 5:1 მტუ (თურქმენეთი)

შერიფი (მოლდოვა) 7:0 დორდოი (ყირგიზეთი)

შერიფი (მოლდოვა)	3	2	0	1	10:3	6
შახტარი (უკრაინა)	3	2	0	1	8:4	6
მტუ (თურქმენეთი)	3	2	0	1	4:5	6
დორდოი (ყირგიზეთი)	3	0	0	3	0:10	0

D ჯგუფი

მესამე ტური

შახტიორი (ბელარუსი) 1:1 კაუნასი (ლიტვა)

პიუნიკი (სომხეთი) 1:2 რუსეთი

რუსეთი (იუნ.)	3	2	0	1	3:4	6
კაუნასი (ლიტვა)	3	1	1	1	4:2	4
შახტიორი (ბელარუსი)	3	1	1	1	4:3	4
პიუნიკი (სომხეთი)	3	1	0	2	3:5	3

რუსეთის იუნიორთა ნაკრები ტურნირში უკონკურსოდ მონაწილეობდა და მასთან ნაჩვენები შედეგები გუნდებს არ ეთვლებათ

მეოთხედფინალი. დღეს

ცსკა — მეტალურგსი

ფახთაძორი — ნეფთჩი

შერიფი — პიუნიკი

კაუნასი — შახტარი

დიდი ნაბიჯი კონტრაქტისკენ

მარცვალაძე არაბეთში რუსებს დაერია



ოთარ მარცვალაძემ კიევის „დინამოში“ პირველი ტესტ-მატჩი ჩაატარა და კლუბის ვებგვერდის ონლაინ-რეპორტაჟის მიხედვით, შეფასება ცალსახაა — შესანიშნავი!

აბუ-დაბიში შეკრებაზე მყოფმა კიეველებმა რუსულ „მოსკვას“ 1:0 მოუგეს, გოლი კი პირველ ტაიმში ბრაზილიელმა კლებერმა შეაგდო. მარცვალაძე შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე და საინტერესოა, რომ დინამოელთა მწვრთნელმა ანატოლი დემიანენკომ სწორედ მეორე ტაიმში ათამაშა გუნდის ძირითადი ბირთვი. ვერცხლისწყალივით მოძრავმა ქართველმა ფორვარდმა სამი საგოლე მომენტი თავად მოინაგრა: ჯერ საჯარიმოში მოატყუა მცველი და „მოსკვას“ მეკარემ ძლივს აუღო დარტყმული, შემდეგ პირისპირ გასული ოთარი თავზე უგდებდა ბურთს მოსკოველთა მეკარეს, მაგრამ ამან საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა, ბოლოს კი ბელკევიჩთან ბურთის გათამაშების მერე ისევ მეკარესთან პირისპირ შეყრილმა სუსტად დაარტყა. მარცვალაძე ყველაზე აქტიური იყო მეორე ტაიმში, თუმცა ყვითელ ბარათსაც გამოჰკრა ხელი.

ცოტა საეჭვოა, კიეველებმა ახლავე გადაწყვიტონ მარცვალაძესთან კონტრაქტის გაფორმება. მას ალბათ მომდევნო ტესტ-მატჩშიც დააკვირდებიან, თუმცა ფაქტია, ჩვენიანმა კონტრაქტისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა...

ილია ნანოგაფვილი

იტალია

სერია B. XXIII ტური

ატალანტა 2:1 პიაჩენცა
აველინო 2:0 კატანძარო
ბოლონია 2:1 ვერონა
კატანია 1:0 ჩეზენა
კრემონეზე 0:0 ალბინოლეფე
კროტონე 1:0 მოდენა
მანტოვა 1:0 ბარი
ტერნანა 2:2 ტრიესტინა
ვიჩენცა 0:1 პესკარა

ინგლისი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩები

ბრენტფორდი 1:1 ნოტინგემი
კოლჩესტერი 3:2 ბრისტოლი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩები

დარლინგტონი 0:0 გრინსბი
შრიუსბერი 0:0 მენსფილდი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები

გრეისი : ბარტონი *გადაიდო*

უოტფორდი : ალდერშოტი *გადაიდო*

ასოციაციის თასი
1/16 ფინალი. გადათამაშება

ბირმინგემი **2:0 ტორკი**
ჩესტერი **0:1** *ჩელტენჰემი*
ლიდსი 3:3დ.დ.(პენ. 2:4, 2:2) *უიგანი*
ტოტენჰემი **1:1დ.დ.(პენ. 4:5, 1:1)** *სტოკი*
უოლსოლი **2:0 ბარნსლი**
მიდლსბრო **5:2 ნანიტონი**
რედინგი **3:2დ.დ.(2:2) ვესტ ბრომვიჩი**

ოლანდია

ასოციაციის თასი
1/16 ფინალი. გადათამაშება

ჰაგილტონი **1:0დ.დ.(0:0)** *ძუინი*

საბერძნეთი

თასის 1/4 ფინალი

ეგალეო 1:1დ.დ.(პენ. 4:5, 1:1) *აპრატიტოსი*

საფრანგეთი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

გენგამი 1:1დ.დ.(პენ. 2:3, 0:0) *ლე მანი*
ნიცა **2:1დ.დ.(1:1)** *ბორდო*

თუ კლაუს ტოპმიოლერი ჩათვლის, რომ საქართველოს ნაკრებში უცხოელი მეკარის მოწვევაა აუცილებელი, ფეხბურთის ფედერაციას აუცილებლად დასჭირდება სახელმწიფო სტრუქტურების დახმარება — ამ შემთხვევაში არა იმდენად ფინანსური, არამედ, იურიდიული საკითხების დროულად მოსაგვარებლად.

გუშინ ამის თაობაზე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურის პოზიციით დავინტერესდით...

ბადრი ჯეიდლაძის ფოტო

პრობლემას ვერ ვხედავ

— რა იცით საქართველოს ნაკრებში უცხოელი მეკარის შესაძლო ნატურალიზების თაობაზე?

— კონკრეტული ინფორმაცია ნამდვილად არ მაქვს, უფრო ზოგადი საუბარი მქონდა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძესთან. ვიცი, რომ ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს გარკვეული მოსაზრებები გააჩნიათ.

— როგორც ფედერაციის აღმასკომის წევრი, თქვენ თუ ემხრობით მეკარის პრობლემის ამგვარად გადაწყვეტას?

— თუ ეს ქართულ ფეხბურთს წაადგება, აუცილებლად მხარს დავუჭერ. რა დასამალია, რომ მეკარის პრობლემა ეროვნულ ნაკრებში და ზოგადად ქართულ ფეხბურთში რეალურად არსებობს. ვფიქრობ, ფედერაციის ხელმძღვანელობის მხრიდან საკითხის დასმის შემთხვევაში, აღმასკომის ყველა წევრი დაუჭერს მხარს ამ იდეას.

— ამ პრობლემის მოგვარებაში ფედერაციას შეუძლია იქონიოს სახელმწიფო სტრუქტურების იმედი?

— ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. საჭიროების შემთხვევაში დეტალურად განვიხილავთ საკითხს. სახელმწიფო სტრუქტურები მხარს დაუჭერენ ფედერაციის ნებისმიერ წამოწყებას, რომელიც ქართული ფეხბურთის წინსვლას წაადგება.

გიორგი ნოზაძე

ცხინვალიც გაჭაბუაძდა

თუ ფული გაქვს, შენი ვარ

ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი „ცხინვალი“ ისევ თეთრებს ითვლის და ძლივძლივობით გააქვს თავი, ამ დროს კი მშვენიერი გამოსავალია ასე თუ ისე ძლიერი ფეხბურთელების გუნდიდან გაშვება და უწვერული ბიჭების დაწინაურება. მსგავსი პრაქტიკა საქართველოში რამდენიმე კლუბმა უკვე განახორციელა, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ პრაქტიკას შედეგი არ მოაქვს, ან როგორ ექნება, როცა ყველაფერი იძულებით კეთდება და არა შორს მიმავალი მიზნებისთვის.

„ცხინვალის“ დირექტორმა ზურაბ ნასუაშვილმა გვითხრა, საპირველწრეო შემადგენლობიდან მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი — ლომაძე, ფერსაევი, ხანიშვილი, ეჯოშვილი — დარჩა, დანარჩენებმა კი დაგვტოვეს და მათ ნაცვლად ჩვენივე ჭაბუკთა გუნდიდან ავიყვანეთ ფეხბურთელებიო.

„შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი ცდილობს ჩვენს დახმარებას და იმედით ვცოცხლობთ. თუ ფინანსები იქნება, მოსიაშვილსა და დათვაძეს დავიტოვებთ და ეგებ სხვა მოთამაშეებიც შევიმატოთ, მაგრამ ჯერჯერობით ჭაბუკების ამარა ვართ. გორში ვემზადებით და სხვაგან წასასვლელი არც გვაქვს, საკონტროლო მატჩებს კი 20 იანვრიდან დავიწყებთ“ — გვითხრა ნასუაშვილმა.

ილია ნანოგაშვილი

სპარტაკი ქათმის გრიპს მოერიდა?

ბურაგ დოლიძეს ფოტო

სპარტაკელები მეტოქეებს მეორე წრეშიც „შევარდენზე“ უმასპინძლებენ

საქართველოს ჩემპიონატის ბოლოადგილოსანმა, თბილისის „სპარტაკმა“ ვარჯიში დაიწყო...

კლუბის პრეზიდენტმა როლანდ ჩხაიძემ გვითხრა, დღეს რაგბის კავშირის წევრებს შევხვდი და გადაწყდა, რომ ისევ „შევარდენზე“ ვითამაშებთო. საქმე ისაა, რომ ორიოდ კვირის წინ იყო ლაპარაკი, „შევარდენი“ მორაგბეებს დაეთმობათ, „სპარტაკსა“ და „სოხუმს“ კი სხვა სტადიონის მოძებნა მოუწევთო.

„კონსენსუსს მივაღწიეთ, რაც უნდა იყოს, მორაგბეებს არცთუ ხშირად მოუწევთ თამაში — გვითხრა ჩხაიძემ — გეცოდინებათ, გიგლა იმნაძის ნაცვლად მთავარ მწვრთნელად ჯუმბერ აბაშიძე დაინიშნა. იმნაძემ ოჯახური პრობლემების გამო დასვენება ითხოვა. ვარჯიშები დიდუბის მანეჟში ტარდება, 25 იანვარს კი თელავის „კახეთს“ ვეთამაშებით. „ამერთანაც“ გვინდოდა შეხვედრა, მაგრამ ჩვენს გუნდს არდადეგები ახლახან დაუმთავრდა და ამის გამო ვიუარეთ. ჩემპიონატის დაწყებამდე ოთხ-ხუთ ტესტ-მატჩს ვვეგმავთ.

და კიდევ, თურქეთში ვაპირებდით შეკრებაზე წასვლას, მოწვევაც მივიღეთ, მაგრამ ქათმის გრიპის გამო უარი ვთქვით“.

„სპარტაკიდან“ ოფიციალურად ჯერ არც ერთი ფეხბურთელი არ წასულა. რამდენიმე მოთამაშე, მათ შორის, ვასილ ლუჭაშვილი და ლაშა ჯანგიძე, შესაბამისად, „ამერში“ და „ბორჯომში“ ვარჯიშობენ, მაგრამ ისინი ჯერაც „სპარტაკს“ ეკუთვნიან.

როლანდ ჩხაიძემ ისიც გვითხრა, ფინანსურად გვიჭირს, მაგრამ ისეც არაა საქმე, ჩემპიონატის ბოლომდე ჩამთავრება სანატრელი გაგვიხდესო...

ილია ნანოგაშვილი

გერმანული ზარი

ოლეგ გველესიანი კოტბუსს ელის

„ვიტ ჯორჯიას“ მარცხენა ნახევარმცველმა ოლეგ გველესიანმა, შესაძლოა, სულ მალე მეორე ბუნდესლიგელ „კოტბუსში“ გააგრძელოს კარიერა. გველესიანმა ერთი კვირა ივარჯიშა ამ გუნდთან ერთად ანთალიურ შეკრებაზე, „გენჩლერბირლიგთან“ და „ანკარაგიუჯიუსთან“ ტესტ-მატჩებში ითამაშა და გუშინწინ თბილისში დაბრუნდა. ახლა კი ყველაფერი „კოტბუსის“ ნებაზეა...

ოლეგ გველესიანი „ანკარაგიუჯიუსთან“ მატჩში

„ეს ვარიანტი უცებ გამოჩნდა, დარეკეს და მითხრეს, ანთალიაში ჩავსულიყავი. იქ კოტბუსელებმა ორ ამხანაგურ მატჩში მათამაშეს, ერთხელ მარცხენა ნახევარმცველად, ერთხელაც მცველად. ჩემ გარდა, სხვა გასასინჯი ფეხბურთელებიც ჰყავდათ, მათ შორის, რამდენიმე ლეგიონერიც. აქედან მარტო წავედი, ენაც არ ვიცოდი და რა შთაბეჭდილება დარჩათ ჩემზე, ზუსტად არ ვიცი, თუმცა სხვებზე ცუდად არ გამოვიყურებოდი“ — გვითხრა გველესიანმა.

ოლეგი ახლა „ვიტ ჯორჯიაში“ ვარჯიშობს და „კოტბუსის“ ზარს ელის:

„უკვე 25 წლის ვარ და უცხოეთში თამაში ძალიან მინდა. კოტბუსელებს კარგი გუნდი ჰყავთ, მეორე ბუნდესლიგაში მეოთხე ადგილზე არიან და ბუნდესლიგაში გადასასვლელად იბრძვიან“.

გველესიანს „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი აქვს, თუმცა თუ „კოტბუსის“ ზარი აწკარუნდება, ვიტელთა ხელმძღვანელობა, ალბათ, ხელს არ შეუშლის. ოლეგსაც ამის იმედი აქვს.

ილია ნანოგაშვილი

მოდებაძე მოედანზე

ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ქართველი თავდამსხმელი ირაკლი მოდებაძე მოედანს უბრუნდება — ჩვენებურმა უკრაინის პირველი წრის ბოლოს მიღებული ტრავმა მოიშუშა და ახლა ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

„მეტალურგი“ შვებულებიდან 15 იანვარს გამოვიდა და სამეორეწრეო მზადება დაიწყო. გუნდის ექიმების ვარაუდით, უარეს შემთხვევაში, მოდებაძე სრული დატვირთვით ვარჯიშს ორ კვირაში დაიწყებს.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი მოდებაძეს ტრავმების გამო ბოლო ორი სეზონია, ხეირიანად არ უთამაშია. პირველ წრეშიც ოდენ ოთხჯერ გავიდა მოედანზე, ორი გოლი გაიტანა და... ისევ დაშავდა.

კახა ზალამგერიძე

თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.

კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

თურქული კონტრაქტი

ყაზანელებმა რევიშვილი სამი წლით მიიღეს

ბურაგ დიულენგაროვილის ფოტო

ქუთაისის „ტორპედოდან“ წასული 19 წლის მეკარე ნუკრი რევიშვილი უკვე ყაზანის „რუბინის“ ფეხბურთელია. მან ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი თურქეთში გააფორმა, სადაც „რუბინი“ ორკვირიან მოსამზადებელ შეკრებაზე იმყოფებოდა.

ნუკრი რევიშვილი ქუთაისიდან, ალბათ, გახსოვთ, ერთი თვის წინ აიბარგა და „რუბინს“ მიაშურა. ჩვენიანი მეკარე გუნდთან ერთად, ჯერ ყაზანში ემზადებოდა, მერე კი ანთალიაში წავიდა და მალევე დაშავდა — რევიშვილმა ხელი იტკინა და მთელი თურქული შეკრება, ფაქტობრივად, უქმად გაატარა, ინდივიდუალურად თუ ვარჯიშობდა. თუმცა კლუბმა მას კონტრაქტი მაინც გაუფორმა. „რუბინის“ მწვრთნელებზე რევიშვილმა კარგი შთაბეჭდილება ყაზანშივე დატოვა და კონტრაქტიც დროის საქმე იყო.

„რუბინში“ ახლა რევიშვილის გარდა, კიდევ სამი მეკარეა, მათ შორის, გასინჯვაზე მყოფი დავით ლორიაც, რომელიც ყაზახეთის მოქალაქეა. სადღეისოდ კი, გუნდის ძირითად მეკარედ ლატვიელი ალექსანდრს კოლინკო ითვლება და, როგორც მწვრთნელები ამბობენ, რევიშვილის მთავარი კონკურენტიც სწორედ ის იქნება.

ამჟამად რევიშვილი და „რუბინი“ მოსკოვში არიან, ზეგ კი გუნდი ესპანეთში, კურორტ მარბელაზე მიემგზავრება, სადაც საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს და ჩვენებურის დებიუტიც სწორედ იქაა მოსალოდნელი.

კობა ინასარიძე

რუბინს მილიონები ეკაპიკება

ლაშა სალუქვაძეს კონკურენტები მოუმრავლდნენ

ლაშა სალუქვაძის (მარცხნივ) „რუბინს“ სერიოზული მიზნები აქვს

— მოსკოვში სამი დღით დავრჩებით, დავისვენებთ, ქართველები აქ მყოფ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს მოვინახულებთ და მერე ესპანეთში მივფრინავთ. მარბელაში საერთაშორისო ტურნირია დაგეგმილი, მატჩები არ მოგვაკლდება.

— აქამდე ამხანაგური თამაშები არ გქონიათ?

— თურქეთში ორჯერ ვითამაშეთ, ერთი ფრედ, მეორე მოვიგეთ. თუმცა შედეგს დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა, ორჯერვე ექსპერიმენტული შემადგენლობა გვყავდა.

— შენ ორჯერვე ითამაშე?

— ერთი მატჩი შეუცვლელად ჩავატარე, მეორეში კი ბოლოსკენ შემცვალეს.

— ქინქლაძემ და რევიშვილმა?

— ქინქლაძემაც ორჯერვე ითამაშა, რევიშვილმა კი თურქეთში ჩამოსვლისთანავე ხელი იტკინა და მთელი დატვირთვით ვერ ვარჯიშობდა.

— „რუბინში“ ბევრი ახალი ფეხბურთელია?

— ჯერჯერობით ორნი არიან, ერთი ბრაზილიელი მარცხენა მცველი, მეორე — არგენტინელი, ცენტრალური მცველი. სხვათა შორის, ეს ფეხბურთელი წლეულს არგენტინის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

— რაკი „რუბინმა“ მცველები შეიძინა, ვიფიქროთ, რომ დაცვაში გუნდს პრობლემები აქვს?

— არა, პირიქით, საერთო შეფასებით გუნდში ყველაზე ძლიერი სწორედ დაცვის ხაზია. ჩვენი ტაქტიკა-სტრატეგიაც დაცვაზეა აგებული. ეს ფეხბურთელები კი მწვრთნელს, ეტყობა, მეტი კონკურენციისთვის სჭირდება.

— უეფას თასის საგზურის მოპოვების შემთხვევაში, „რუბინის“ ბიუჯეტი მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო. ასე მოხდა?

— ეს არ ვიცი, მაგრამ გავიგე, რომ სპონსორებმა გუნდის გასაძლიერებლად დაახლოებით 20 მილიონი ევრო უკვე დახარჯეს და ერთი ამდენიც გადადებული აქვთ.

— აბა, წლეულს მიზანიც ფინანსური მდგომარეობის შესაბამისი გექნებათ?

— ვნახოთ. ჩემპიონობა, ალბათ, გაგვიჭირდება, მაგრამ სამეულში მოხვედრა უნდა შევძლოთ. თუმცა სამომავლო გეგმებზე კონკრეტულად ჯერ არ გვისაუბრია. „რუბინის“ შესაძლებლობების შეფასება კლუბის ხელმძღვანელებს უკეთ შეუძლიათ.

კობა ინასარიძე

ეროსმოჯოლიტური მიმოხილვა

ტოპმალიარი ხარ, ბიჭო?

საქართველოში მოგინდა საწყალი ხალხის აკრეფილ აფშაკზე ბაირამი?

შენ იცი, ბრატ, აქ შენამდე ერთ პატარა ბიჭს უნდოდა პალაჟენიის დაყენება და უფრო პატარა წავიდა, ვიდრე ჩამოვიდა.

გაბრიელას იცნობ, გაბოს? იცი, ვინ არის გაბოს და? ჰოდა, ის პატარა ბიჭი ეხლა თავის მელიციაში საჩივრებს წერს, დამაპატარავებს და ისე გამიშვესო.

ზნაჩიტ, შენ გინდა, ჩამოხვიდე, იბლატავო, ორი წლის მერე მეექვსე ადგილზე გახვიდე და ხელი დაგვიქნიო? ძმურად, A კლასის გოიმები გგონივართ? მაგას, ბიჭო, შენ გერმანიიდან რო არ ჩამოსულიყავი, მე აქვე ნახევარ ფასში ვერ ვიჩალიჩებდი? პლიუს, ერთი-ორ იგროკსაც სადმე კალიმის „ზოლოტოდაბივანელში“ გავყიდიდი. იცი, რა მაყუთს იხდიან კალიმაზე?

და ძმურად, არ დამინყო, რომ ევროპაზე გასვლის იმედი გაქვს, ხალხი „პახთაკორთან“ ვაგებთ...

იტოგში, შენი მოსატყუებელი კბილი, ბრატ, ბრეჟნევის დროს მოვიცვალეთ, გაიგე?!

აქ პროსტო, ერთი რამეა, აქ კაცმა 1:6 არ უნდა ნააგო, რა. ნააგე 0:1, ჯანდაბას 0:2, თუ გინდა, ხუთ თამაშში ერთხელ 1:4 და გარანტირებული ორ-სამწლიანი ხარ. ორი წელინადი კი, ბრატ, ეეე, იცი რამდენია? ორ წელინადში მთელ მალაძიოჟნი ნაკრებს გაყიდი სადმე კაბარდინო-ბალკარიაში. მერე შენ, იცი, კაბარდინო-ბალკარიაში რამდენს იხდიან? შენ კაბარდინო-ბალკარია საქართველო ხო არ გგონია თავისი თასების თასით და „ვეფხვისტყაოსნით“?! კაბარდინო რუსეთია, ძმაო!

იტოგში, ძმაო, ტოპმიულერო, ადგილს აფუჭებ და ამას ვრიად ლი შეგარჩენენ.

ეხლა ვიცი, შენ ფიქრობ რო პრესა და რამე. შენ რა, გგონია, ნყნარად რო ვიჯდე ჩემთვის და 0:1-ები ვაგო, პრესა ეგრე მომვარდება? მერედა, პრესა რო ჩალიჩს დამინყებს, სრაზუ ხო არ მომხსნიან? ჯერ გავა წელინადი, მერე ზამთარი ან ზაფხული დადგება, მერე აჩერედნოი რევოლუცია მოხდება, მერე შემთხვევით ვინმესთან 1:1-ს ვითამაშებ, როგორც სხვები ადრე აკეთებდნენ, მერე კიდე რამე და გავა ის ორი თუ სამი წელინადი. ჰოდა, იცი-მეთქი, რამდენია ორი წელინადი?

ვახ, რა ნერვებს მიშლი, ტოპმოილერ, რა ნერვებს მიშლი, ჩემი...

ეხლა წავალ და ბოღმაზე დავლევ ან გავიჩხერ.

ვახ, ჩემო ჯიგარო ქართველობავ,

მარად თქვენი ენგელბერტ (ენგო) პონტელავა.

ჩაიწერა პაპუნა კედიამ

P.S. 1 იანვარს ახალი წელი იყო. ორი კვირა რომ გავიდა, კიდევ ახალი წელი იყო. ორი კვირაც რომ გავა, კიდევ ახალი წელი იქნება?

ბადრი კეთილაძის ფოტო

პრპრატი 1981 წლის 13 მაისს

გივი ბერიკაშვილი: გერმანული დისციპლინა ქართულ ნიჭს შეაფსებს

გივი ბერიკაშვილი საფეხბურთო საქმოსანი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მას ხშირად ვხედავდით დიდი გამარჯვებების, საფეხბურთო ზეიმების დროს, რომელიც ბოლო ხანს ძალიან მოგვაკლდა ქართველებს. ისიც კარგად გვახსოვს, ყველასთვის საყვარელი მსახიობი თბილისის აეროპორტში რომ დახვდა ესენგეს თასზე გამარჯვებულ თბილისის „დინამოს“.

მასთან საუბარი უინტერესო რატომ უნდა იყოს? ან კი როგორ შეიძლება, სიტყვა „უინტერესო“ ვიხმაროთ, როცა გივი ბერიკაშვილთან გვაქვს საქმე...

— რას ნიშნავს თქვენთვის ფეხბურთი?

— პროფესიული თვალსაზრისით, ფეხბურთთან შეხება არასოდეს მქონია, მაგრამ იგი ჩემთვის უსაყვარლესი და სანახაობრივად ულამაზესი სპორტის სახეობაა. როგორც ყველა ბავშვი, მეც დილიდან საღამომდე დავდევდი ბურთს.

— თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებიდან ვისთან მეგობრობდით?

— ყველა ჩემი მეგობარი იყო. ბორის პაიჭაძე და ავთანდილ ღოღობერიძე პატარა ძმას მეძახდნენ, ახლო ურთიერთობა მქონდა სერგო კოტრიკაძესთან, გივი ჩოხელთან, მიშა მესხთან, სლავა მეტრეველთან და რომელი ერთი ჩამოვთვალო. „დინამოს“ თითოეული თამაში ერთ რამედ ღირდა, ყოველი ტური ზეიმი იყო, თამაშამდე ხალხი დღეებს და საათებს ითვლიდა...

— გავრცელებული აზრია, „დინამოს“ საბჭოეთის ჩემპიონატში ჩაგრავდნენო. რას იტყვით ამაზე, მართალია?

— მარტო თბილისის „დინამოს“ კი არა, კიევის „დინამო“ და სხვა არარუსული გუნდებიც ამ დღეში იყვნენ. სამწუხაროდ, ასეთი ტუტუცური დირექტივები იყო.

— 1981 წლის 13 მაისს თქვენც სტადიონზე იზეიმებდით „დინამოს“ ტრიუმფს...

— რა თქმა უნდა. თამაშის დამთავრებისთანავე სტადიონისკენ დავიძარით მე და ჩემი შვილი ზურაბი, მანქანით საცობში მოვყევი, ირგვლივ „დინამო, დინამოს“ მეტი არაფერი ისმოდა, მე კი მანქანიდან თავი გადავყავი და „არარატ, არარატ“ დავიძახე. გადაირია ხალხი, გამომეკიდნენ და რომ დამინახეს, ხელში ამიყვანეს და მაბურთავეს. სასწაული ზეიმი იყო.

— დღეს გამარჯვებებით ვეღარ ვხარობთ. მაინც რატომ წავიდა საბჭოეთის დაშლის შემდეგ ქართული ფეხბურთის საქმე უკან?

— იცით, ჩვენ მიჩვეულები ვიყავით მოსკოვის „სპარტაკთან“, კიევის „დინამოსთან“, „არარატთან“ თამაშს. როდესაც უცხო გუნდები აღარ ჩამოდიოდნენ, თითქოს მოტივაცია აღარ დაგვრჩა. ისე, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი სპორტისა და პოლიტიკის ერთმანეთში გარევისა.

— სტადიონზე თუ დადიხართ?

— ასაკიდან გამომდინარე, ვეღარ. ჩემი შვილი ზურაბი და შვილიშვილი გიორგი კი ხშირად დადიან.

— საქართველოს ნაკრების მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერი დაინიშნა. თქვენი აზრით, რითი სჯობია უცხოელი ქართველს, რა სიახლეს შემოიტანს?

— საერთოდ, გერმანელები დისციპლინის მოყვარული ხალხია. მთავარია, დეიდაშვილ-მამიდაშვილობანას არ დაუშვებს ნაკრებში, რაც აქამდე ხშირად გამიგონია. ქართველები ნიჭიერები ვართ ფეხბურთში, გერმანელიც თავის სიმკაცრეს, დისციპლინას შემოიტანს და ასე ვთქვათ, შეესება მოხდება.

...ბორის პაიჭაძემ „დინამოს“ ერთერთ მეკარეს უთხრა, შენ მარტო ძელებს შუა კი არ დგახარ, არამედ, დარიალის კარს იცავ. ყველანი ერთად უნდა დავდგეთ, სახელმწიფოს მხარდაჭერაც აუცილებელია და მჯერა, ფეხბურთის ბუმი კვლავაც მოვა. დრო სჭირდება ყველაფერს, დღეს „დინამოს“ „რეალთან“ მოგებას ვერ მოსთხოვ, მაგრამ სწორი მიდგომა თუ იქნება, წინ აუცილებლად წავიწევთ.

— რას უსურვებთ ქართული ფეხბურთის ქომაგს?

— ეს წელიწადი პროგრესისა ყოფილიყოს. გულშემატკივრებს სტადიონზე წასვლის ხალისს ვუსურვებ, „სარბიელს“ კი, ღმერთმა ქნას, ქართულ ფეხბურთზე და ზოგადად ქართულ სპორტზე ყოველთვის კარგის წერის საბაბი ჰქონოდეს.

ნუკრი ლოლაძე

geo_geo_fan@hotmail.com

უცხოელი მეკარე საქართველოს ნაკრებში — ეს თემა დღეს ძალიან აქტუალურია და „სარბიელი“, რა თქმა უნდა, ქომაგსაც მისცემს აზრის გამოთქმის საშუალებას. ასე რომ, ჩვენი რუბრიკა თქვენს წერილებს ელის.

მოგვწერეთ, რას ფიქრობთ ამ იდეაზე, მოგწონთ თუ არა უცხოელის „გაქართველება“? იცოდეთ, ქომაგის აზრი საფეხბურთო სამყაროსთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

geo_geo_fan@hotmail.com

ამერიკელებს ქართველებსაც არ ეშინიათ

გტკივა? ითამაშე!



ბადრი კეთილაძის ფოტო

ირანის ჩემპიონატს ორი ქართველი შემორჩა — აქვსენტი გილაურის თეირანის „ესტეგლალი“ მეორე ადგილზეა, ხოლო ჯაბა მუჯირის ისპაჰანის „სეპაჰანი“ მეშვიდეზე... ირანმა კი დახურული ბირთვული პროგრამა განაახლა და დასავლეთი იმდენადაა შეშფოთებული, არ არის გამორიცხული, ირანს სამხედრო ძალის დემონსტრირებითაც დაუწყოს ლაპარაკი... სეპაჰანელ ჯაბა მუჯირს ფეხბურთამდე ჯერ მილიტარისტულ საფრთხეზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...

— ირანში დიდი დაძაბულობა ჯერ არ იგრძნობა, ამერიკელები კი სპარსელებს არც მანამდე უყვარდათ დიდად. ირანში ჯერ არ იციან, კონფლიქტი რა სახეს მიიღებს. აქ ყოველდღიური დაძაბულობა არ არის, ამ თემაზე ხანდახან თუ ბჭობენ და ნერვიულობენ.

— როგორც უნდა იყოს, ირანში დარჩენას კიდევ დიდხანს აპირებ?

— „სეპაჰანთან“ შარშან 1+1 სახის კონტრაქტი გავაფორმე და შესაძლოა, კიდევ ერთი წელი დავრჩე აქ, მაგრამ ისიცაა, რომ „სეპაჰანში“ ყოფნით, ცოტა არ იყოს, დავიღალე — გუნდიდან შვიდი ფეხბურთელი წავიდა და ჩვენგან მაინც სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლას მოითხოვენ. მოკლედ, შესაძლოა, სეზონის დამთავრების შემდეგ სხვა ირანულ გუნდში გადავიდე.

— გილაურის რა ისმის?

— მას კვლავ ტრავმა აწუხებს. რამდენიმე თვის წინ კოჭი გაებზარა, იმკურნალა, მაგრამ მოედანზე ნაჩქარევად დაბრუნდა და ფეხი კვლავ გაუსივდა. გილაურს „ესტეგლალთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და „ესტეგლალიც“ ცდილობს, ბოლომდე გამოწუროს — ეუბნებიან, გამაყუჩებელი ნემსი გაიკეთე და ითამაშეო. გილაური ასეც მოიქცა და კოჭიც ვერა და ვერ მოირჩინა.

— იყო ლაპარაკი, რომ გილაური შენთან, „სეპაჰანში“ გადმოსულიყო...

— „სეპაჰანს“ მართლაც სურს გილაური, ოღონდ თვითონ გილაურს ურჩევნია, ისევ თეირანის რომელიმე გუნდში გადავიდეს, მაგრამ თუ ეს ვერ შეძლო, იქნებ „სეპაჰანში“ აღმოჩნდეს.

დავით თავართქილაძე

პირველები

გერმანიაში ქართული სადებიუტო გოლებია



ლევან ცქიტიშვილი



დავით სირაძე

დავით სირაძე სულ ახლახან გადავიდა გერმანიის მეორე ბუნდესლიგელ აუე-ში და გოლის გატანაც მოასწრო. სირაძის გუნდი პორტუგალიური შეკრებიდან გერმანიაში დაბრუნდა და ასევე მეორე ბუნდესლიგელ „ერფურტს“ ტესტ-მატჩში 2:0 მოუგო, ჩვენიანმა შესვენებაზე პოლონელი ანჟეი იუსკოვიაკი შეცვალა და 54-ე წუთზე გაუტანა მეტოქეს.

პირველი ვოლფსბურგული გოლი შეავდო ლევან ცქიტიშვილმაც, თუმცა „მგლები“ ამხანაგურ მატჩში „კიოლნთან“ 1:3 დამარცხდნენ. „ცქიტომ“ 23-ე წუთზე საჯარიმოს მისადგომებიდან ზუსტი დარტყმით იხეირა, ამ დროს მისი გუნდი 0:1-ს აგებდა.

ილია ნანოგაშვილი

მორიგი მანჩესტერული უვარგისობა

ვან ნისტელროი და რონალდუ: სადღაა ძველი ძმობა...

„მანჩესტერ იუნაიტედის“ უიღბლო სეზონს და უვარგის კვირას, რომელშიც გუნდმა ჯერ სამოყვარულო „ბარტონს“ ვერ მოუგო, მერე კი მანკუნიანური დერბი წააგო, ერთიც დაემატა:

კარინგტონის ბაზაზე ვარჯიშისას ერთმანეთს ეჩხუბნენ კრიშტიანუ რონალდუ და რუუდ ვან ნისტელროი. მოშუღარნი ძლივს ვაუშველებიათ.

ბოლოდროინდელ მანჩესტერულ უვარგისობათა სია კი ასე გამოიყურება:

14 სექტემბერი: უეინ რუნიმ ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ვილიარეალის“ წინააღმდეგ მსაჯს დამცინავად დაუკრა ტაში და მინდვრიდან გააძევეს.

24 სექტემბერი: გუნდმა შინ წააგო „ბლექბერნთან“ 1:2.

29 ოქტომბერი: „მიდლსბრომ“ „რივერსაიდზე“ მოსპო „იუნაიტედი“ 4:1.

1 ნოემბერი: როი კინმა საკლუბო ტელეგადაცემაში გააკრიტიკა თანაგუნდელები, ალექს ფერგიუსონმა კი გადაცემის გაშვება აკრძალა.

2 ნოემბერი: მარცხი „ლილთან“, რაც სათუოს ხდის ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე გასვლას.

18 ნოემბერი: კინი 12-წლიანი კარიერის შემდეგ ტოვებს „იუნაიტედს“.

7 დეკემბერი: „მანჩესტერი“ მეოთხე ადგილს იკავებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში.

8 იანვარი: ვერ უგებს ნონ-ლიგის „ბარტონს“ ასოციაციის თასზე.

14 იანვარი: თანაქალაქელ „სიტისთან“ 1:3 მარცხდება.

16 იანვარი: რონალდუ და ვან ნისტელროი ჩხუბობენ.

ირაკლი გამყრელიძე

ეტოოს „აქლემობა“ ტელეკამერამ აღმოაჩინა

მოკვლევამ კლემენტეს რასისტობა დაადგინა

ესპანურ ფეხბურთს კიდევ ერთი ახალგამომცხვარი რასისტი ჰყავს — წარსულში ეროვნული გუნდის თავკაცი და დღეს ბილბაოს „ატლეტიკის“ მწვრთნელი ხავიერ კლემენტე. თუ გახსოვთ, ადრე რასისტისა და შავთმოძულის იარლიყი კასტილიელთა ნაკრების ბებერ დამრიგებელს, ლუის არაგონესს მიაკერეს, აქაოდა, თავის შეგირდ ხოსე რეიესთან საუბარში „არსენალის“ ზანგი ტიერი ანრი „აყროლებულ მაიმუნად“ მოიხსენიაო. ბასკ კლემენტესაც მსგავსი გასაჭირი აქვს — კვირას, „ბარსელონა“ — „ბილბაოს“ მატჩის ბოლოს კატალონიელთა ეტოომ ბასკების ექსპოზიტოს ბარაქიანად შეაფურთხა სახეში და სტუმრების მწვრთნელმაც შავკანიან ფორვარდს „ხიდან ახალჩამოსული მაიმუნი“ უმახა. მერე სენიორ კლემენტემ ქვაქვაზე დაადუღა მტკიცებით — ეტოო მაიმუნად „ზრდილობისთვის მოვნათლე, რასიზმი აქ არაფერ შუაშიაო.

„ხავიერ კლემენტეს უხეში გამოხდომა სპორტსმენთა შორის უთანხმოებას უწყობს ხელს და „ბილბაოს“ მწვრთნელის მისამართით შესაბამის ზომებს მივიღებთ“ — დაიმუქრა გუშინ **CSD**, ანუ სპორტის უმაღლესი საბჭო. სპორტში ძალადობის საწინააღმდეგო კომისიაში კი პირდაპირ თქვეს — ბასკი სპეციალისტის საქციელი შავთმოძულეობაა და დიდი ჯარიმის გარეშე ეს საქმე არ ჩამთავრდებაო. არაგონესს 2005 წელს ანრის „მაიმუნობა“ 3 ათასი ევრო დაუჯდა. ბილბაოელს რასისტობას ხომ დასწამებენ და რამდენს გადაახდევინებენ, ვნახოთ.

რაც შეეხება უშუალოდ „კამპ ნოუზე“ მატჩის ინციდენტის მონაწილეებს. ორშაბათს ესპანეთის ტელევიზიით კარგა ხანს ატრიალეს ფურთხება-გინების ამსახველი კადრები და ეტოოს განცხადებაც — გადავაფურთხე, მაგრამ ექსპოზიტოს შემთხვევით მოხვდაო — მართალი რომ არ არის, სურათზეც ნათლად ხედავთ. ფეხბურთის ფედერაცია და სპორტის უმაღლესი საბჭო დაუსჯელად არც კამერუნელს დატოვებს. თუმც სამუელ ეტოოს სანქცია აფრიკის თასის ტურნირიდან ჩამოსვლის შემდგომ დაეკისრება.

ლადო ხომერიკი

შვედის საქმე ათასი და ერთი ისეთი...

ერიკსონი (მარჯვნივ) ბექემს „ასტონ ვილასთვის“ იმეტებდა

მედიის მახეში მოყოლილი სვენ გორან ერიკსონი, ვინც არაბ შეიხად გადაცმულ ჟურნალისტს გულღიად დაუფქვა ნირგვარი უხერხული აზრები და ამით დიდ სკანდალში გაეხვა, გარეგნულად სიშშვიდეს ინარჩუნებს.

გაზეთმა „ნიუს ოფ ზე ვორლდმა“ ნაკრების შვედ მენეჯერს ისეთი კვანტი გამოსდო, რომ მისი კარიერა სასწორზე შემოდო.

პრესასთან ერიკსონის მარჯვენა ხელმა, ასევე შვედმა ტორდ გრიპმა ილაპარაკა, რომელიც ბოლო 30 წელიწადია, სვენის გვერდით მუშაობს.

არაბ შეიხთან ერიკსონის შეხვედრის და მასთან „ასტონ ვილას“ უფროსობაზე, ბექემზე და ოუენზე გულღიად ლაპარაკი რომ მედიაფანდი იყო, ერიკსონს გაზეთიდან გაუგია და ლამის შოკში ჩავარდნილა.

„ათას ჭირში გამოვლილი კაცია, მაგრამ ეს ამბავი მაინც განსაკუთრებულია — თქვა გრიპმა — საწყენი ისაა, რომ ველარავის ენდობი და ვერც ნაწერს ჩათვლი ნამდვილად. ამგვარი ფანდები უცნაურია. თურმე თვეობით გეგმავდნენ. სვენი ფეხბურთელებს ელაპარაკა და ახლა ბევრად დამშვიდდა. ეს პრობლემა აღარ არის.

იმის მტკიცება ზედმეტად მიმაჩნია, რომ სვენი ამაყობს თავისი თანამდებობით და 2008 წლამდე ანუ კონტრაქტის გასვლამდე სურს ნაკრების მენეჯერად დარჩენა. მაგრამ, მეორე მხრივ, ვინ იცის, როგორ ხასიათზე იქნება ის მსოფლიო თასის შემდეგ?“

„არაბ შეიხს“ ერიკსონმა უთხრა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს მიატოვებს და „ასტონ ვილას“ მენეჯერად გადავა, თუკი არაბები ამ კლუბს იყიდიან და მას წელიწადში 5 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. შვედმა ისიც თქვა, რომ ბექემი მის პირველ დაძახილზევე „ვილაში“ გადავა.

„სვენი თავს დამცირებულად გრძნობს — აღნიშნა გრიპმა — არადა სახიფათო არაფერია არც ნაკრებისთვის და არც მზადებისთვის“.

ფეხბურთის ასოციაციამ ერიკსონი სალაპარაკოდ გამოიძახა, თუმცა გრიპი განმარტავს, რომ ეს ლაპარაკი სანაკრებო მზადებას შეეხება და ამ მხრივ ყველაფერი კარგად მიდის.

მიდის და წავიდეს. ამის გამო რომ შვედს არავინ მოხსნის, ცხადია.

ირაკლი გამყრელიძე

მილიონები თეოსთვის

უოლკოტი — ძვირფასი ბავშვი

ბრძელდება საუთჰემპტონელი ვუნდერკინდის, თეო უოლკოტის ამბავი:

ბიჭი „არსენალს“ თითქმის ნაყიდი ჰყავდა 5+5 მილიონ გირვანქად, თუმცა ბოლოწამს სამხრეთელთა თავმჯდომარე რუპერტ ლოუმ საქმეს უგანა და არსენ ვენგერის ნათქვამი, უოლკოტი უკვე ჩემიაო, ნაადრევი გამოდგა.

ახლა მეთოფენი უკვე 12 მილიონ გირვანქას სთავაზობენ „საუთჰემპტონს“ და მოლაპარაკებებიც ძალე განახლდება.

ვენგერი საქებ სიტყვებს არ იშურებს უოლკოტის მიმართ და ბიჭის მშობლებსაც სწორედ ფრანგის ლაპარაკი მოსწონებიათ პრემიერლიგის სხვა მენეჯერების ნათქვამებზე უფრო, თუმცა, არსებობს „ჩელსი“ და „დეილი სტარი“ წერს, რომ აბრამოვიჩის ხალხი უოლკოტში 50 მილიონი გირვანქის გადამხდელია.

ბევრი რამ თავად თეოზე და მის ოჯახზეა დამოკიდებული. ბიჭს გული „არსენალისკენ“ მოუწევს.

ირაკლი გამყრელიძე

რა კარგია ცხოვრება

ნაყინის მოყვარულებო, მიუნხენში შეერთდით!

სებასტიან დაისლერი გერმანიაში თაობის უნიჭიერეს მოთამაშედ იყო მიჩნეული, მაგრამ გავიდა წლები და, როგორც იქაურ საფეხბურთო სამზარეულოში ჩახედული ხალხი ამბობს, ის, რასაც დღეს „ბასტი ფანტასტის“ შესრულებით ვხედავთ, მხოლოდ სუსტი მინიშნებაა მისი მონაცემების შესახებ და მეტი არაფერი. ამის მიზეზი საქვეყნოდაა ცნობილი: მუხლის მრავალჯერადი ტრავმა და დეპრესიული დაავადება... თუმცა ერთი კია, 26 წლის მოთამაშე ბოლო თვეებში მაინც დამკვიდრდა „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში და კლუბის საინტერნეტო ვებგვერდმა შემოგვთავაზა კიდეც მასთან ინტერვიუ, რომელიც დუბაის საწვრთნელ ბანაკშია ჩაწერილი. როგორც ჟურნალისტი გვარწმუნებს, საუბრისას მის წინაშე სრულიად მოსვენებული და ცხოვრებით კმაყოფილი დაისლერი იჯდა





დაისლერი ბალაკს „ბაიერნის“ ცენტრს ედავება

— სებასტიან, მიმდინარე სეზონში თქვენი შესაძლებლობების რამდენ პროცენტს ავლენთ?

— ასეთ რამეს პროცენტებში ვერ გამოხატავთ. გეტყვით, რომ ჩემი თამაში კმაყოფილებას ჯერ ნამდვილად ვერ მგვრის, თუმცა მომწონს, ბოლო ორ-სამ თვეში როგორ განვითარდა მოვლენები. ის, რაც ბოლოს მოხდა, დიდ პროგრესზე მიმანიშნებს, ოღონდ ჩემი დღევანდელი თამაში მაინც ძალიან შორსაა იქიდან, რაც შემიძლია და რაზეც ვოცნებობ. აქ, უპირველეს ყოვლისა, გოლების გატანა მაქვს მხედველობაში. მართალია, ამპლუით მომენტების შემქმნელი ვარ, მაგრამ უშუალოდ კარის სიახლოვეს აშკარად მეტი მეხერხება.

— ბოლო თვეებში უფრო მოსვენებული და უდარდელი ჩანხართ.

— მართალი ბრძანდებით და ეს იმითაა განპირობებული, რომ გუნდში საქმე კარგად მიმდის. თამაშს უკვე სულ სხვანაირად ვგრძნობ, ერთი-ორი კარგი მატჩიც ვითამაშე და ამან საკუთარი თავის რწმენა შემძინა. ბოლო სამმა თვემ მაჩვენა, რომ ფეხბურთის თამაში კიდევ შემიძლია.

— „ბაიერნში“ უკვე სამწელიწადნახევარია, ირიცხებით, მაგრამ მუხლის ტრავმებისა და დეპრესიული დაავადების გამო იმდენი გაგიცდათ, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მხოლოდ ერთი წლის მოსული ხართ.

— მართალია, რა ხანია, კალაპოტიდან ამოვარდნილი ვარ. ჯერ კიდევ „ჰერტაში“ ბოლო სეზონის ხუთი თვე ტრავმის გამო გამოტოვე, შემდეგ ცოტა წავითამაშე და ისე დავშავდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი გამიცდა.

— თქვენთვის ცუდ დროს ხალხი ამბობდა, რომ თავს მეტისმეტს სთხოვდით. თუმცა აქ საკითხს მეორენაირადაც შეიძლება შევხედოთ: ხშირად „ბაიერნში“ ფეხბურთელს თავის გამოჩენის შესაძლებლობა მაინცდამაინც არ აქვს.

— დიახ. აქ შენი შანსი უნდა მოინადირო, ბოსზე შთაბეჭდილება უნდა მოახდინო და აიძულო, შემდეგ თამაშში სასტარტო შემადგენლობაში ჩაგრთოს. მოედანზე გასულს მართლა უნდა გინდოდეს კარგად თამაში, თუმცა ამის მიუხედავადაც შესაძლებელია, ყველაფერი მაინც ცუდად მოგიტრიალდეს. იღბალი აშკარად საჭიროა.

— იღბლის მაგალითი ალბათ „იუვენტუსთან“ თამაშია. მაშინ ტურინელთა მეკარე აბიატიმ თქვენი დარტყმული მუხლით კარში შეაგდო.

— ეს მომენტი ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოდგა. ადამიანს სჭირდება რაღაც, რაც მასში ცეცხლს აანთებს. მე წარმატების გემო, მჭირდებოდა და „იუვენტუსის“ კარში გატანილმა გოლმა სწორედ ეს მომანიჭა. მას მერე საქმე კარგად მიმდის.

— რა როლი ითამაშა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა თქვენ ბოლოდროინდელ აღმასვლაში?

— მან ყველაფერი საფუძველშივე სწორად გააკეთა. ის მიხვდა, რომ ამდენი დროის გაცდენის შემდეგ დრო მჭირდებოდა და ჩემი მოუთმენლობის მიუხედავად თავად მოითმინა.

— მაგათს ნაკრების მწვრთნელისთვის, იურგენ კლინსმანისთვის ხშირად უთქვამს, დაისლერის გამოძახებისგან ჯერ თავი შეიკავეო. ასეთ რამეს წინასწარ გითანხმებდათ ხოლმე?

— დიახ. წინა ზამთარს ნაკრებს აზიაში რომ არ წავყევი, მოვიგე. საერთოდ, ბოლო სამ თუ ოთხ წელიწადში პირველი სწორი სეზონისწინა მომზადება 2004-ის ზაფხულში გავიარე, მაგრამ ტურინში მაშინდელი თამაშის წინ იმდენად ქანცგაწყვეტილი ვიყავი, რომ გერმანიაში დავბრუნდი. თავიდან ფიზიკური გადაღლა ვიგრძენი, შემდეგ მენტალური, მაგრამ ეს აუცილებლად გადასალახავი ეტაპი გამოდგა და მეტი არაფერი.

— როგორც ჩანს, ღღეს „ბაიერნში“ თავს იმდენად კარგად გრძნობთ, რომ კონტრაქტი 2009 წლამდე გაახანგრძლივეთ.

— სხვაგან წასვლის მიზეზი არ მაქვს, მიუნხენში თავს მოწყობილად ვგრძნობ. თანაც „ბაიერნი“ გერმანიაში სხვებზე გაცილებით უკეთესი კლუბია, რომელსაც უცხოეთშიც დიდი რეპუტაცია აქვს. აქ ფეხბურთელს შეუძლია თავი ყოველმხრივ ბედნიერად იგრძნოს. გარდა ამისა, პირადად ული ჰიონესის წინაშე ვარ ვალში. „ბაიერნი“ პირველი კლუბია, რომელმაც ტრავმის შემდეგ სრული გამოჯანმრთელების დრო მომცა. წინა კლუბებში ვალდებული ვიყავი, მოედანს რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნებოდი. მოკლედ, აქ სულ სხვა სიტუაციაა.

— მაგრამ ექვსი თვის წინ გაგრძელებდით კონტრაქტს?

— გულწრფელად გიპასუხებთ — არა. სექტემბრის ბოლოს სხვა ვითარება იყო, ღღევანდელისგან აბსოლუტურად განსხვავებული. მაშინ ბევრს არ მათამაშებდნენ, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში, „ბრიუგესთან“ შეცვლაზეც კი არ შემიშვეს, სკამიდან არ წამოვმდგარვარ. მაშინ ვიფიქრე, სეზონის ბოლოს სხვა გუნდში გადავალ-მეთქი. მართალია, როგორც ადამიანი ღღევანდელივით კმაყოფილი გახლდით, მაგრამ როგორც სპორტსმენს, საქმე კარგად არ მიმდიოდა და ეს ასპექტი პირველზე მნიშვნელოვანი იყო.

— ღღეს კი კლუბში ამბობენ, რომ თქვენ მიხაელ ბალაკის შემცვლელი იქნებით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ბალაკი სეზონის ბოლოს გუნდიდან წავა.

— ჩემი ბუნებრივი პოზიცია ყოველთვის შუიდან შემტევი ნახევარმცველის ადგილი გახლდათ. ამ საქმეს ვაკეთებდი „მიონხენგლადბახსა“ და „ჰერტაში“, ამიტომ ფლანგისკენ გაწეული თავს მთლად შინ ვერ ვგრძნობ. აქ გავინავარდებ თუ არა, თავს აუტის ხაზთან აღმოვაჩენ ხოლმე. მინდა, თამაშში ყოველი მხრიდან მეტად ჩართული ვიყო. შუაში უფრო სარგებლიანიც ვიქნები.

— სად უფრო ადვილია მუდამ ძირითადში ყოფნა, „ბაიერნში“ თუ გერმანიის ნაკრებში?

— რაკიღა „ბაიერნის“ ძირითადში მოვხვდი, ნაკრებში თამაშის შანსიც მეტი მაქვს. ყოველ ვარჯიშზე მაქსიმუმს ვაკეთებ და ღღენიადაგ თავის ამოწურვას ვცდილობ. ჩემს კონკურენტებს არ ვგავარ. „ბაიერნში“ ბალაკი ხელშეუხებელია, დანარჩენ სამ პოზიციაზე მოსახვედრად კი კარგა ბლომად ხალხი ვიბრძვით. ნაკრებში ასეთი ექსტრემალური სიტუაცია ნამდვილად არ არის.

— მაშ, „ბაიერნის“ თერთმეტეულში მოხვედრა ძალიან ძნელია? კი მაგრამ, „კიოლნის“ თავდამსხმელ ლუკაშ პოდოლსკის რაღად ურჩიეთ მიუნხენში გადმოსვლა?

24:22 18:29 24:17 24:9

თსუ: ი. ბერიშვილი (18), მაისურაძე (5), ფანჩულიძე (14), ლეფავა (12), მარხვაშვილი (2), ვეფხვაძე (9), მუშკუდიანი (4), ტყეშელაშვილი (13), ხანიკიძე (5), საყვარელიძე (6), ლომიძე (2)

დინამო: გულისაბედაშვილი (6), ლაფანაშვილი (13), ძიძიგური (3), წივწივაძე (11), ბადრიძე (9), დერიუგინი (6), გვიმრაძე (7), სუხიშვილი (22)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

ირაკლი პერტაია

როცა ერთი გუნდი მეორეს აშკარად ჯობს, ისინი გინდა ეროვნულ ჩემპიონატში ათამაშე და გინდა ლეგენდარული კალათბურთელების ხსოვნის ტურნირში, მაინც ერთ შედეგს მიიღებ. სუსტი რაოდენ მოტივირებულიც არ უნდა იყოს, საკუთარ თავს და შემძლე მეტოქეს ვერ გადაახტება — ყოველ შემთხვევაში, ქართულ კალათბურთში ასეა.

ლიდერები მაჩანჩალებს ჩემპიონატში ულაპარაკოდ უგებენ და რაღა მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის ხსოვნის ტურნირი გახდებოდა გამონაკლისი. გუშინ ვერის ბაღმა ამ შეჯიბრის მეორე ტურს უმასპინძლა, რომელიც ისეთი უინტერესო გამოდგა, რომ თავმოყვარე გულშემატკივარს გული დაეწვებოდა ქართული კალათბურთის უდონობა-ულაზათობაზე.

ამ მატჩების ყურება გვარიანად მოსაწყენი იყო და მაინ რეპორტაჟის კითხვა ხომ საერთოდ... და მაინც, ორიოდ სიტყვით ვთქვათ ამ ვითომ მატჩებზე, რომლებშიც გამარჯვებულის ვინაობა წინდაწინ გახლდათ ცნობილი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი აქამდეც ვერ წყვეტდა ციდან ვარსკვლავებს და რაც დავით თორთლაძემ თამაშს თავი დაანება, ამ გუნდს მოგებას ვერავინ მოსთხოვს. სოხუმელები ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს ხვდებოდნენ და ისე წააგეს, წარმატების მისხალი შანსი არ გასჩენიათ.

ერთადერთი დასაკვეხნი ის თუ ექნებათ სოხუმელებს, რომ პირველი ტაიმის მიწურულს ორი ქულით მიუახლოვდნენ ტექნიკოსებს, თუმც ამ „თავხედობით“ სტუ ისე გააბრაზეს, რომ მესამე შეოთხედშივე უშანსოდ დარჩნენ.

ტექნიკოსთა თურქეთიდან შობრუნებულმა ცენტრმა, რიჩარდ მათიაშვილმა სოხუმელთა ფარქვეშ ისე მოიკიდა ფეხი, რომ ყველა მიღებულ პასს ორ ქულად აქცევდა. იქით პერიმეტრზე ლუკა შანიძემ იჩუბინა და გადამწყვეტი მეოთხედის დაწყებამდე სტუ 20 ქულას იგებდა.

მომდევნო მატჩი ისე დაიწყო, მაყურებელს იმედი გაუჩნდა, არ მოვიწყენო, მაგრამ... ქუთაისელებმა ისე შეუტიეს გვარიანად მომძლავრებულ „აზოტს“, რომ ვერის ბაღის დარბაზში სენსაციის სუნი დატრიალდა. ქუთაისელები ელვისებურად უტევდნენ ქვემოქართლელებს. მათ გამთამაშებელ გიორგი ლოსაბერიძეს წინააღმდეგობას კარგა ხანს ვერ უწევდნენ რუსთაველები და პირველი ტაიმის დასრულებამდე 6 წუთით ადრე ქუთაისელებმა 4-ქულიანი ლიდერობა დაიბევეს — 28:24.

დასრულებამდე კარგა დრო რჩებოდა, მაგრამ რუსთაველებს მაინც ჩამოსცხათ. ოთარ ხმელიძემ შეგირდებს პრესინგი უბრძანა და ქუთათურების საქმეც აქ მოთავდა. ტაიმის დასრულებამდე 2 წუთით ადრე დავით არწივიძემ შორი ტყორცნით ლიდერობა დაუბრუნა რუსთაველებს და შესვენებამდე დარჩენილ დროში ქვემოქართლელებმა იმდენი მოახერხეს, რომ უპირატესობა 9 ქულამდე გაზარდეს. თავი გეგი ლიპარტელიანმა გამოიჩინა, რომელმაც ერთ წუთში ორი სამიანი მიითვალა.

მეორე ტაიმში რუსთაველები სულ სხვანაირი მუხტით გამოვიდნენ მოედანზე; ახალწვეულთა ტრიომ — ჟოლივეტ ტუჯანმ, ზვიად ბაბიაშვილმა და დავით იმნაძემ ელეთმელეთი მოუწყვეს ქუთაისელებს და მეორე ტაიმის საწყისი ექვსწუთეული 23:2 მოგებინეს თავისიანებს. ანგარიშში სხვაობა 30 ქულას ასცდა და ქუთაისელებმაც თავჩაქინდრულებმა ჩაამთავრეს მატჩი.

თითქმის იგივე სცენარი გათამაშდა „ავიამშენ“ — „მაკაბის“ მატჩში, თუმცა აქ სუსტის „ამბოხმა“ მხოლოდ 10 წუთს გასტანა. ჯამლეტ ხუხაშვილის სამწყსო დიდი მონდომებით ეკვეთა ავიატორებს. გიორგი შერმადინი ჩვეული ლიფსო ტყორცნებით ლაშქრავდა მეტოქის ფარს, აქეთ გივი ვაშაკიძე და ვანო აბულაძე არღვევდნენ „ავიამშენის“ დაცვის მყუდროებას და „მაკაბიმ“ პირველი მეოთხედი ლამის მოუგო „ავიაშშენს“ 20:20.

მეორე მეოთხედიდან ლევან მოსეშვილის შეგირდებმა გამოიფხიზლეს და ისე ყოჩაღად ათამაშდნენ, რომ მეტოქეს საქმე პირველივე ტაიმში მოუთავეს.

გიორგი მარკოიშვილმა ბლომად სამქულიანები ყარა „მაკაბის“ კალათაში, არც სხვა ავიატორები თაკილობდნენ ქულების მითვლას და 20:2 მოგებული 4-წუთეულის შემდეგ მოსეშვილის გუნდმა ბარაქიანი ჰანდიკაპი შეიქმნა — 57:32.

დღის ბოლო მატჩშიც ძლიერმა იძალა: „თსუ-ნიკორამ“ ახალგაზრდული „დინამო“ დაამარცხა და ყველაფერს დღევანდელმა ტურმა უნდა გასცეს პასუხი. ფინალში გასასვლელად ოთხი დაუმარცხებელი გუნდი იბრძოლებს. „თსუ-ნიკორა“ „აზოტს“ შეეცილება ფინალის საგზურს, ხოლო „ავიამშენი“ — ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

16 იანვარი

ატლანტა 94:83 ჰიუსტონი

ატლანტა: აივი (4), ჯონსონი (22 ქულა, 10 მოხსნა), სმიტი (7 ქულა, 11 მოხსნა), ჰარინგტონი (28), ფაჩულია (29 წუთი, 6 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა); სტუდემაიერი (11), უილიამსი (10), ჩილდრესი (6), ედვარსი

ჰიუსტონი: ალსტონი (19), ვესლი (10), ბოუენი, ჰოვარდი (20), მუტომბო (14 ქულა, 10 მოხსნა); ჰედი (16), ლუკასი (2), ბაქსტერი (2)

ნიუ იორკი 90:96 მინესოტა

ნიუ იორკი: მარბერი (20), რიჩარდსონი (14)

მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი), შჩერბიაკი (24), ჰადსონი (16)

ცენტიშვილი სათადარიგო იყო

ჩიკაგო 94:97 დენვერი

ჩიკაგო: ჰაინრიხი (20), სონგაილა (15), დუპონი (14)

დენვერი: ენტონი (39), მარტინი (22 ქულა, 14 მოხსნა), უოტსონი (16)

დეტროიტი 94:84 ბოსტონი

დეტროიტი: რ. ვოლესი (23), ჰამილტონი (18), ბილაფსი (13 ქულა, 16 პასი)

ბოსტონი: პირსი (21), ვესტი (20)

კლიპერსი 102:93 იუტა

ძირითადი დრო 87:87

კლიპერსი: ბრენდი (35 ქულა, 14 მოხსნა, 7 დაფარება), კასელი (25), მობლი (17), კამანი (15)

იუტა: ოქური (19), კირილენკო (17 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი, 5 ჩაჭრა), გირიჩეკი (17), პალასიო (14)

გოლდენ სტეიტი 109:93 სიეტლი

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (26), დევისი (25 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა), დანლივი (22), პიეტრუსი (19)

სიეტლი: რიდნორი (18 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა), ვილკინსი (18)

მემფისი 83:93 სან ანტონიო

მემფისი: გასოლი (25)

სან ანტონიო: პარკერი (28), ჯინობილი (15), დანკანი (13 ქულა, 12 მოხსნა)

დალასი 114:95 მილუოკი

დალასი: ნოვიცკი (35), ჰოვარდი (21 ქულა, 11 მოხსნა), ტერი (18)

მილუოკი: რედი (29), უილიამსი (18)

ლეიკერსი 100:92 მაიამი

ლეიკერსი: ბრაიანტი (37), ოდომი (19 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ჯორჯი (17)

მაიამი: ვეიდი (34), ონილი (18 ქულა, 10 მოხსნა)

ნიუ ჯერსი 97:92 ინდიანა

ნიუ ჯერსი: კარტერი (24), კიდი (23 ქულა, 10 პასი), კრსტიჩი (20)

ინდიანა: კროუერი (17 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსი (16), ჯონსონი (16)

ვაშინგტონი 104:76 ფილადელფია

ვაშინგტონი: ბატლერი (23), არენასი (22 ქულა, 12 პასი), ჯემისონი (21 ქულა, 10 მოხსნა)

ფილადელფია: იგუდალა (18), აივერსონი (17)

შარლოტი 92:107 ნიუ ორლეანი

შარლოტი: ვოლესი (19), ბრეუეცი (18), ფელტონი (16)

ორლეანი: პოლი (24), ვესტი (22 ქულა, 11 მოხსნა), კლაქსტონი (15)

AFP ლოს ანჯელესიდან

შაილ ონილმა თავის ყოფილ გუნდ „ლეიკერსს“ სულ ტყუილად ულეწა ფარი

აღმოსავლეთი

ატლანტიკა			
ნიუ ჯერსი	20	15	57,1
ფილადელფია	18	19	48,6
ბოსტონი	14	23	37,8
ნიუ იორკი	13	23	36,1
ტორონტო	13	24	35,1
ცენტრალური			
დეტროიტი	30	5	85,7
კლივლენდი	20	15	57,1
ინდიანა	20	16	55,6
მილუოკი	19	17	52,8
ჩიკაგო	15	22	40,5
სამხრეთ-აღმოსავლეთი			
მაიამი	23	16	59,0
ვაშინგტონი	17	19	47,2
ორლანდო	13	22	37,1
შარლოტი	11	27	28,9
ატლანტა	10	26	27,8

დასავლეთი

სამხრეთ-დასავლეთი			
სან ანტონიო	29	9	76,3
დალასი	28	10	73,7
მემფისი	23	13	63,9
ნიუ ორლეანი	18	19	48,6
ჰიუსტონი	12	24	35,1
ჩრდილო-დასავლეთი			
მინესოტა	18	17	51,4
დენვერი	20	19	51,3
იუტა	19	19	50,0
სიეტლი	15	23	39,5
პორტლენდი	13	24	35,1
წყნარი ოკეანე			
ფინიქსი	24	12	66,7
კლიპერსი	20	14	58,8
ლეიკერსი	21	17	55,3
გ. სტეიტი	18	19	48,6
საკრამენტო	15	21	41,7

პრაღული სიახლე
გიორგი კანდელაკი ევროპაში მეორე კაცია

ცხელი ამბავი: გუშინ პრაღაში ევროპის კრივის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტები აირჩიეს და პირველი ვიცე-პრეზიდენტი საქართველოს კრივის ფედერაციის თავკაცი გიორგი კანდელაკი გახდა

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

გიორგი კანდელაკი

„გიორგი კანდელაკი პირველი ქართველია, ვინც ამხელა თანამდებობაზე აირჩიეს — გვითხრა საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ გუნიამ — ამასთან, იგი ყველაზე ახალგაზრდა ვიცე-პრეზიდენტიცაა. ასეთ ორგანიზაციაში მეორე კაცად არჩევა მთლიანად საქართველოსთვის დიდი პატივია“.

გუნიასვე ცნობით, გუშინ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ჩვენი ფედერაციის გამგეობამაც მიიღო. ნაახალწლევს გათავისუფლებული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თენგიზ მესხაძის ადგილს ამიერიდან 50 წლის დავით ცერცვაძე დაიკავებს.

„ცერცვაძე აქამდე ძირითადად ახალგაზრდებთან მუშაობდა და სწორედ მისი გაზრდილია მსოფლიოს ჩემპიონი ბურდიანცი“ — დასძინა გუნიამ.

დღეისთვის დაგეგმილი აღმასკომის სხდომა კი გაურკვეველი ვადით გადაიდო. ამის ერთ-ერთი მიზეზი ნაკრების სამზადისის დასაწყისია. სეზონის უმთავრესი შეჯიბრი — ევროპის ჩემპიონატი, 13-24 ივლისს ბულგარულ პლოვდივში ჩატარდება.

ოთარ მაღლაკელიძე

ევროგადატრიალება
მოკრივეებმა რევოლუცია მოაწყვეს



ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი მოკრივე ნიკოლოზ იზორია მსაჯებმა რომ დაჩაგრეს, ალბათ, ყველას გვახსოვს. კრივში რომ მსგავსი ფაქტები არცთუ იშვიათია, არც ესაა სიახლე. უსამართლობაზე ქართველი თუ უცხოელი სპორტსმენები და მწვრთნელები ლამის ყოველი დიდი ტურნირის დასრულების შემდეგ ღიად საუბრობდნენ და უმეტესწილად ამის რეალური საფუძველიც ჰქონდათ. არცთუ დიდი ხნის წინ კრივის სათავეში მყოფი ხალხის კრიტიკა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდანაც გამოვიდა. ფედერაციას საკამათო ეპიზოდების მინიმუმამდე დასაყვანად სერიოზული მუშაობა მოსთხოვეს.

ახლა მთავარი ამბავი: სამი დღის წინ პრაღაში კრივის ევროპის ასოციაციის (EABA) რიგგარეშე კონგრესი დაიწყო. ორგანიზატორები ასოციაციის ხელმძღვანელობის საქმიანობით უკმაყოფილო ჩინოსნები ასოციაციისვე წევრები იყვნენ. ჯგუფის მთავარი სამიზნე EABA-ის თურქი ვიცე-პრეზიდენტი კანერ დოგანელი აღმოჩნდა.

მას და მის მომხრეებს კორუფციაში დასდეს ბრალი და ოფიციალური გადატრიალებაც მოაწყვეს. ბულგარელ პრეზიდენტ ემილ ჟეჩევის ნაცვლად კონგრესმა რუსი ედუარდ ჭუსაინოვი დაამტკიცა. მას მხარი 26 წევრიდან 25-მა დაუჭირა. თანამდებობა, რაღა თქმა უნდა, დოგანელსაც დაატოვებინეს.

„პრაღის კონგრესის ჩასაშლელად დოგანელმა და მისმა მომხრეებმა ყველა ღონე იხმარეს — უთხრა ჟურნალისტებს ახლადგაპრეზიდენტებულმა რუსმა — ბოლოს საქმეში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური კომისიაც კი ჩაერია. მათ სიმართლის, ანუ ჩვენი მხარე დაიჭირეს. აწ უკვე ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა სასწრაფოდ ბუქარესტში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა მოიწვია, მაგრამ მისგან მრავალგზის მოტყუებულმა ასოციაციის წევრებმა, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, პრაღაში ჩამოსვლა არჩიეს“.

ჭუსაინოვის თქმით, თურქი ვიცე-პრეზიდენტი ასოციაციის წევრებს წლების განმავლობაში მხარდაჭერის სანაცვლოდ მათი თანამემამულე მოკრივეებისთვის მსოფლიოს, ევროპის თუ ოლიმპიური თამაშების მედლებს ჰპირდებოდა, მსაჯებს სამართლიანად მსაჯობა არ შეეძლოთ და ძლიერი სპორტსმენები იჩაგრებოდნენ.

ევროპის ასოციაციის ახალი ხელმძღვანელობისთვის უკვე ცხარი კრივის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ანვერ ჩაუდრისაც დაუჭერია.

„უსამართლობის დრო დამთავრდა. ახალი შემადგენლობის ხელში კრივი სუფთა გახდება. მსაჯები ამიერიდან პაიკები აღარ იქნებიან და გადაწყვეტილებებსაც ყოველგვარი მითითებების გარეშე, პროფესიულად მიიღებენ“ — ამბობს ახალი პრეზიდენტი.

ოთარ მაღლაკელიძე

ალექსეი ოსადჩიევის ფოტო

„ბორჯომი 2014“-ის პროექტი უკვე ამუშავდა

ბორჯომ-თბილისი ერთ ულელშია

გუშინ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა „ბორჯომი-2014-ის“ პროექტის პრეზენტაცია.

ბორჯომი, მოგეხსენებათ, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ერთ-ერთი მსურველია, რომელიც ამ ასპარეზობის მიღებას თბილისთან ერთად აპირებს.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე დაასრულა “ბორჯომი-2014-ის“ პროექტი და საორგანიზაციო კომიტეტის შექმნა

ამ პროექტის თაობაზე დაწვრილებითი საუბარი შარშანდელი წლის მიწურულს გამართულ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე იყო. ჯერ კიდევ მაშინ ითქვა, რომ ბორჯომის ოლიმპიადის ასპარეზობები ყველა ღიაცისქვეშა ანუ თოვლის სახეობაში ბაკურიანსა და დიდველში გაიმართება, ხოლო სპორტის ყველა ჭერქვეშა ანუ ყინულის სახეობას უმასპინძლებს ოლიმპიადის თანამასპინძელი თბილისი.

მაშინ, სეოკ-ის სესიაზე „ბორჯომი-2014“-ის განაცხადის მომზადების ჯგუფის გენერალურმა მენეჯერმა ვაჟა შუბლაძემ გვითხრა:

„2014 წლის ოლიმპიადისთვის თბილისში, მახათას მთის მიდამოებში, ტერიტორიაზე, რომელიც 2005 წელს, ორსაუკუნიანი ოკუპაციის შემდეგ დატოვა რუსეთის ჯარმა, თანამედროვე სპორტული ქალაქი აშენდება.

ბორჯომის ოლიმპიადის გახსნადახურვის, აგრეთვე გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალები გაიმართება საგანგებოდ მოწყობილ საცერემონიო ცენტრში. ოლიმპიური ჩირაღდანი აინთება ბორჯომის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქედზე და მისი სიმაღლე 30-მეტრიან საყრდენთან ერთად, 2014 მეტრი იქნება ზღვის დონიდან. ეს მართლაც იშვიათი და სიმბოლური რამ იქნება — 2014 წლის ოლიმპიადის ჩირაღდანი 2014 მეტრ სიმაღლეზე! ოლიმპიური ჩირაღდანი გამოჩნდება ყველა იმ ადგილიდან, სადაც განთავსებული იქნება ოლიმპიური ობიექტები.

ოლიმპიადაზე ჩამოსულ ათლეტებს ორი ოლიმპიური სოფელი უმასპინძლებს: ერთი ბორჯომში (ბაკურიანის ოლიმპიური სოფელი) და ერთი თბილისში (მახათას ოლიმპიური სოფელი). თამაშების შემდეგ საოლიმპიადოდ გაწყობილი მთელი ინფრასტრუქტურა და ოლიმპიური ნაგებობები კვლავ გააგრძელებენ ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობენ საქართველოს გადაქცევას ზამთრის სპორტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად მსოფლიოში“.

მაშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე ისიც ითქვა, რომ ჩვენს ქვეყანაში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად სამზადისი და ინფრასტრუქტურის განვითარება დაახლოებით სამი მილიარდი დოლარი დაჯდებაო და რომ ამ თანხას, ნაწილობრივ, კერძო სექტორი დაფარავს.

იგივე ითქვა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ პროექტის პრეზენტაციაზე. როგორც საქართველოს პრემიერმინისტრმა, ზურაბ ნოღაიდელმა თქვა, ის საინფრასტრუქტურო პროექტები, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს, უკვე განხორციელების სტადიაშია და მათი უმრავლესობა 2014 წელზე გაცილებით ადრე იქნება რეალიზებული.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გიორგი გაბაშვილის თქმით, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ კანდიდატთა შერჩევამდე დაგეგმილია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებთან რამდენიმე შეხვედრა.

„თუ საქართველო მოხვდება ოლიმპიადის სამასპინძლოდ თუნდაც სამ პრეტენდენტს შორის, ეს უკვე დიდი მიღწევა იქნება, რადგან ქვეყანას შეეძლება ამ წოდებით ისარგებლოს ინვესტიციების მოსაზიდად და ინფრასტრუქტურის განსავითარებლად“ — თქვა გიორგი გაბაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ პრეტენზიას აცხადებენ: ალმა-ათა (ყაზახეთი), ზალცბურგი (ავსტრია), პიონ ჩანი (სამხრეთ კორეა), სოფია (ბულგარეთი), სოჭი (რუსეთი) და ხაკა (ესპანეთი).

ავთანდილ ბუკვიშელი

ფეიჯ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 13-29 იანვარი

ვეფხვმა საუკეთესო შესანსლა

ინდოელმა ვეფხვმა ვიშვანათან ანანდმა სუპერტურნირის უკვე ყოფილ ლიდერ, უკრაინელ ვასილ ივანჩუკს შავი ფიგურებით სძლია და მისი ადგილიც დაისაკუთრა. მანამდე ფიდეს ვიცე-ჩემპიონ ივანჩუკს ორიდან ორივე პარტია მოეგო და გულშემატკივრები ანანდთან შეხვედრაში უფრო დაძაბულ თამაშს ელოდნენ.

მოჭადრაკეებმა დებიუტში წინა ხაზზე ოთხივე მხედარი გამოიყვანეს და ცენტრისთვის ბრძოლას შეუდგნენ. თავიდან ანანდი გააქტიურდა, მან ცენტრში პაიკები გაუცვალა მეტოქეს, მეფე საიმედოდ გადამალა და ჯარი შეტევისთვის დაგეშა. ივანჩუკმა აგრესიას აგრესიით უპასუხა, დამრტყმელი ძალები ლაზიერის ფლანგზე წაასხა და იქიდან ურქინა შავებს. ანანდმა ადვილად მოიგერია უკრაინელის დაწოლა, საპასუხოდ ლაზიერ-კუთი დაარტყა და 28-ე სვლაზე ძვირფასი ქულა აიღო.

მოიგო წინა ტურში დამარცხებულმა მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა. მან ფრანგი ეტიენ ბაკრო 44-ე სვლაზე დააშამათა.

ლუბა გეგეჭკორი

ავსტრალიის ღია პირველობა 2006

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $

დაბრუნება მელბურნში



AFP მელბურნიდან

მარტინა ჰინგისი

ლეიტონ ჰიუიტი

პირველი წრე

კაცები

როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) — **დენის ისტომინი** (უზბეკეთი) — 6:2 6:3 6:2; **ოლივიე როხუსი** (ბელგია, 24) — **მიკაელ ლოდრა** (საფრანგეთი) — 6:4 6:2 6:2; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი, 12) — **ოლივიე მარახი** (ავსტრია) — 3:6 4:6 6:2 6:1 6:3; **ლუის ჰორნა** (პერუ) — **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი, 22) — 6:4 7:5 6:1; **პოლ გოლდსტინი** (აშშ) — **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბია-ჩერნოგორია) — 6:2 1:6 6:3 6:2; **ბიორნ ფო** (გერმანია) — **კარლოს ბერლოკი** (არგენტინა) — 6:4 7:6 2:6 7:6; **პეტერ ლუჟაკი** (ავსტრალია) — **ივო მინარი** (ჩეხეთი)— 7:6 7:6 6:4; **ფედერიკო ლუჩი** (იტალია) — **ხუან ანტონიო მარინი** (კოსტა რიკა) — 6:1 6:4 7:5; **გილერმო კორია** (არგენტინა, 6) — **ვიქტორ ჰანესკუ** (რუმინეთი) — 6:4 1:6 4:6 6:2 6:1; **დიკ ნორმანი** (ბელგია) — **ზაკ ფლაიშმანი** (აშშ) — 6:4 7:6 5:7 0:6 6:3; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — **რიშარ გასკე** (საფრანგეთი, 14) — 6:2 7:5 6:2; **კევინ კიმი** (აშშ) — **პარელ ლევი** (ისრაელი) — 6:4 6:4 6:0; **ნატან ჰილი** (ავსტრალია) — **ფილიპო ვოლანდრი** (საფრანგეთი, 29) — 6:2 6:3 *(უარი)*; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი, 5) — **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — 7:5 4:6 6:3 5:7 6:3; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — **ჟან-რენე ლისნარი** (საფრანგეთი) — 4:6 6:2 6:4 6:3; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — **კრისტოფერ როხუსი** (ბელგია) — 6:3 6:1 6:4; **ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — **ენდი მიურეი** (დიდი ბრიტანეთი) — 6:1 6:3 6:3; **ბორის პაშანსკი** (სერბია-ჩერნოგორია) — **უეინ არტურსი** (ავსტრალია) — 6:3 6:4 4:6 7:6; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — **პიუნგ-ტაიკ ლი** (სამხ. კორეა) — 6:4 6:1 4:6 6:4; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — 6:3 7:6 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია, 3) — **რობინ ვიკი** (ჩეხეთი) — 6:4 2:6 5:7 7:6 6:3; **იპნკო ტიპსარევიჩი** (სერბია-ჩერნოგორია) — **ანდრეას სეპი** (იტალია) — 1:6 6:4 4:6 6:2 6:4; **ალექსანდრ გოგომოლოვ-უმცროსი** (აშშ) — **ფერნანდო გონსალესი** (ჩილი, 9) — 4:6 7:6 6:3 6:7 7:5; **ნიკლას კიფერი** (გერმანია, 21) — **პარადორნ შრიჩაპანი** (ტაილანდი) — 6:7 4:6 7:6 6:1 6:2; **რაიმონ სლუტერი** (ჰოლანდია) — **პაველ შნობელი** (ჩეხეთი) — 6:4 2:6 6:2 6:4; **ამერ დელიკი** (აშშ) — **პოტიტო სტარაჩე** (იტალია) — 7:5 6:7 6:3 3:6 6:3; **დავიდ სანგინეტი** (იტალია) — **იაკობ ადაკტუსონი** (შვედეთი) — 7:6 6:3 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი, 28) — **კენტ კარლსენი** (დანია) — 7:6 6:4 6:4; **ხუან-კარლოს ფერერო** (ესპანეთი, 15) — **ტომაშ ზიბი** (ჩეხეთი) — 7:6 6:0 6:2; **ვაძს მირნი** (ბელარუსია, 30) — **ტიერი ასიონე** (საფრანგეთი) — 6:3 3:6 6:1 6:7 6:0; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი, 25) — **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — 6:4 6:2 6:3

ქალები

მარი პირსი (საფრანგეთი, 5) — **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — 6:1 6:1; **ივეტა ბენეშოვა** (ჩეხეთი) — **რიკა ფუჯივარა** (იაპონია) — 2:6 6:1 7:5; **ჯამეა ჯექსონი** (აშშ) — **ტამარინ ტანასუგარნი** (ტაილანდი) — 7:6 6:2; **ანასტასია მისკინა** (რუსეთი, 12) — **იულიანა ფედაკი** (უკრაინა) — 7:6 6:1; **პატი შნიდერი** (შვეიცარია, 7) — **ელენა დანილიდუ** (საბერძნეთი) — 6:4 6:3; **გიზელა დულკო** (არგენტინა) — **მარეტ ანი** (ესტონეთი) — 6:0 7:6; **შინობუ ასაგოე** (იაპონია) — **შაჰარ პირი** (ისრაელი) — 3:6 6:1 6:4; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია, 2) — **იუნ იონგ ჩო** (ჩრდ. კორეა) — 6:3 6:0; **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი, 27) — **ემი ფრეიზერი** (აშშ) — 6:3 6:2; **ანა-ლენა გროენეფელდი** (გერმანია, 22) — **ლაურა პოუს ტიო** (ესტონეთი) — 2:6 6:4 7:5; **მარია სანჩეს ლორენთო** (ესპანეთი) — **ლუსი შაფაროვა** (ჩეხეთი) — 6:4 6:3; **ანა ივანოვიჩი** (სერბია-ჩერნოგორია, 21) — **შენეი პერი** (აშშ) — 6:4 6:4; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — **სევერინ ბრემონდი** (საფრანგეთი) — 6:3 6:4; **ემილი ლოიტი** (საფრანგეთი) — **ვიკტორია კუტუზოვა** (უკრაინა) — 6:2 6:0; **ალიზე კორნეტი** (საფრანგეთი) — **აიკო ნაკამურა** (იაპონია) — 6:2 4:6 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია, 15) — **ანტონელა სერა-ძანეტი** (იტალია) — 6:2 7:5; **მიკაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — **კრისტინა ბრანდი** (პუერტო რიკო) — 6:4 7:6; **მარტინა სუხა** (სლოვაკეთი) — **ანა სმაშნოვა** (ისრაელი) — 3:6 6:3 6:4; **ფლავია პენეტა** (იტალია, 20) — **კარა ბლეკი** (ზიმბაბვე) — 6:2 2:6 6:3; **კატალინა კასტანო** (კოლუმბია) — **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — 5:7 6:3 6:1; **სანია მირზა** (ინდოეთი, 32) — **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსია) — 7:6 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — **ჟი ჟენგი** (ჩინეთი) — 5:7 6:2 6:4; **დინარა საფინა** (რუსეთი) — **ტატიანა გარბინი** (იტალია) — 6:0 6:1; **სოფია არვიდსონი** (შვედეთი) — **მარია ალეხანდრა ვენტა-კაბჩი** (ესპანეთი) — 6:1 6:2; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხეთი, 16) — **ანასტასია იაკიმოვა** (ბელარუსია) — 6:1 6:2; **ემა ლეინენი** (ფინეთი) — **ნურია ლაგოსტერა-ვივესი** (ესპანეთი) — 6:1 6:1; **სიგილ ბაბერი** (ავსტრია) — **ევა ბირნეროვა** (ჩეხეთი) — 7:5 6:4; **ჟი იანი** (ჩინეთი) — **ნატალი დეში** (საფრანგეთი, 11) — 6:7 6:2 6:3; **რობერტა ვინჩი** (იტალია) — **მეგან შონესი** (აშშ) — 7:5 6:4; **ვენგ იუანი** (ჩინეთი) — **მელინდა ფინკი** (უნგრეთი) — 6:4 6:2; **მარტინა ჰინგისი** (შვეიცარია) — **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი, 30) — 6:1 6:2

მელბურნში მეორე სათამაშო დღე მიიღია, რომელმაც, პირველისგან განსხვავებით, სერიოზული სენსაციების გარეშე ჩაიარა. თუმც ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ საინტერესო არაფერი მომხდარა.

ასე თუ ისე, მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს მეცხრე ნომრად განთესილი ჩილიელი ფერნანდო გონსალესის გამოვარდნა, რომელმაც ხუთსეტიან დაპირისპირებაში წააგო ამერიკის სახელით მოასპარეზე ალექსანდრე ბოგომოლოვ უმცროსთან.

დანარჩენმა ფავორიტებმა ზოგმა ადვილად, ზოგმა კი დიდი წვალებით, მაგრამ მაინც შეძლეს პირველი წრის გადალახვა. თავისი მაღალი კლასი და უმთავრესი ფავორიტის სტატუსი კიდე ერთხელ დაამტკიცა როჯერ ფედერერმა. უზბეკ დენის ისტომინთან გასამარჯვებლად შვეიცარელს საათნახევარიც კი არ დასჭირდა.

„ეს ძალიან ადვილი გამარჯვება ნამდვილად არ ყოფილა... მოწინააღმდეგეს ცოტათი ვუფრთხოდი, რადგანაც აქამდე მოწინააღმდეგის თამაში არ მენახა და არ ვიცოდი მისი ძლიერი და სუსტი მხარეები... ყველაზე მთავარი ისაა, რომ არ გადავლილვარ“ — თქვა მოგების შემდეგ ფედერერმა.

შვეიცარელისგან განსხვავებით, ძალიან გაუჭირდა პირველი ბარიერის გადალახვა ლეიტონ ჰიუიტს. იგი თითქმის ოთხი საათის განმავლობაში ებრძოდა ერთის მხრივ საკუთარ თავს, მეორეს მხრივ კი — რობინ ვიკს. ავსტრალიელმა ძალიან ცუდად ითამაშა თავის მოწოდებაზე, ამას ზედ 65 უნებლიე შეცდომა დააყოლა და რაღა გასაკვირია, რომ კინაღამ წააგო. ჰიუიტის მთავარი შეცდომა კი, ალბათ, ის იყო, რომ მოწინააღმდეგე სათანადოდ ვერ შეაფასა.

ვიკს ცოტა ფხა რომ გამოეჩინა, ამ თამაშის მოგება თავისუფლად შეეძლო. მას სეტებში 2:1 მიყავდა და მეოთხე პარტიაში მხოლოდ ერთი მოწოდების მოგებაღა სჭირდებოდა, მაგრამ ჩეხი მოახლოებულმა გამარჯვებამ ზედმეტად აანერვიულა, ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და ჰიუიტს ბრეიკი გააკეთებინა.

ამის შემდეგ ავსტრალიელმა მეოთხე სეტში ტაიბრეიკი მოიგო, ხოლო გადამწყვეტ პარტიაში მისი უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა:

„ძალიან დიდი ბრძოლა იყო... უკანა ხაზიდან ხანგრძლივმა გასროლებმა თამაში [illegible] გაწელა და ამან მეც [illegible] ძალიან დაგვლალა... ყოველი ქულისთვის დიდი ბრძოლის გადატანა მომიხდა, მაგრამ სეზონისთვის ინტენსიურმა მზადებამ თავისი შედეგი გამოიღო და მხოლოდ ამიტომ გავუძელი ასეთ დატვირთვას“ — ესღა განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არაქათგამოცლილმა ჰიუიტმა, რომელიც შემდგომ წრეში არგენტინელ ხუანიგნასიო ჩელას დაუპირისპირდება.

რაც შეეხება ქალების ტურნირს, გუშინდელმა დღემ ძალიან წყნარად ჩაიარა. ყველამ, ვისაც ეს რანგით ეკუთვნოდა, შეძლო შემდეგ წრეში გასვლა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მარტინა ჰინგისის დაბრუნება მელბურნის კორტებზე მეტად წარმატებული გამოდგა. შვეიცარიელი ძალიან ბევრს კი ნერვიულობდა მატჩის წინ, მაგრამ უშუალოდ შეხვედრის დროს არაფერი არ ეტყობოდა. მარტინამ დიდებული თამაში აჩვენა და ვერა ზვონარიოვას მხოლოდ სამი გეიმის აღების საშუალება მისცა. მთელი მატჩის განმავლობაში არავის არ შეპარვია ეჭვი ჰინგისის სიძლიერეში. შვეიცარიელმა მართლაც რომ აღმაფრენით ითამაშა.

ჰინგისი ძალიან გახარებული იყო:

„დიდებული გრძნობაა აქ დაბრუნება და თამაში, ამ კორტებთან ხომ მშვენიერი მოგონებები მაკავშირებს... დღეს სპორტში დაბრუნების შემდეგ ყველაზე კარგი მატჩი ჩავატარე, ბოლომდე შევასრულე ყველაფერი, რაც წინასამატჩოდ დავგეგმე და ცოტა შეცდომებიც დავუშვი... მოდუნების და სიხარულის დრო ნამდვილად არაა, ახლა მხოლოდ მომავალ მოწინააღმდეგეზე ვფიქრობ... ახლა უფრო ვარ მოგებებს მოწყურებული, ვიდრე მაშინ, როცა 17 წლის ვიყავი“.

ასევე ადვილად იმარჯვა კიმ კლაისტერსმაც, რომელსაც ტრავმის არაფერი ეტყობოდა და ჩრდილო კორეელ ჩუს საათზე ნაკლებ დროში მოუგო. თვითონ ბელგიელი თავისი თამაშით კმაყოფილი ნამდვილად არ ჩანდა:

„მთავარია, რომ შემდეგ წრეში გავედი. სწორედ ეს მახარებს. ეს არ იყო ჩემი საუკეთესო თამაში და შეხვედრის წინაც ვიცოდი, რომ მეტს ვერ შევძლებდი. თუმც კორტზე იმ იმედით გავედი, რომ გამეკეთებინა ის, რის უფლებასაც ჩემი ამჟამინდელი ფიზიკური ფორმა მაძლევს... შევეცდები, მომავალშიც იგივე გავიმეორო“.

სხვადასხვანაირი დებიუტი გამოუვიდათ ფრანგებს — მარი პირსსა და ამელი მორეზმოს. ვეტერანმა პირსმა სულ რაღაც 52 წუთში დაძლია ნიკოლ პრატის წინააღმდეგობა. მისგან განსხვავებით, ბევრი იწვალა მორეზმომ და ავსტრალიის თაკარა მზის ქვეშ იმაზე მეტი ხანი გაატარა ჩინელი სუნის პირისპირ, ვიდრე გეგმავდა.

„პირველი მატჩი ყოველთვის ძნელია... პირველ სეტში განსაკუთრებით გამიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა შევეგუე პირობებს... ეჭვი არ მეპარება, რომ შემდეგ თამაშებში თანდათანობით მოვუშატებ“ — იმედიანად არის განწყობილი მორეზმო.



AFP მელბურნიდან

მარი პირსი

კახა ლომაშვილი

პლაჟის კარიერის ჩვენთვის გენერლები მონათლეთ ბრაზილიელები!

გადაწყვეტილი ამბავია: საქართველოს პლაჟის ფრენბურთში ბრაზილიური წყვილი ეყოლება. 23 წლის რენატო გომესს და მის მეწყვილეს, 29 წლის ჟორჟი ტერსეიროს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა მიენიჭათ. ეს ინფორმაცია გუშინ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა უზრუნველყოფის სახელმწიფო დეპარტამენტშიც დაგვიდასტურეს. ბრაზილიელები ბორჯღალიან პასპორტს დღე-დღეზე მიიღებენ

რენატო და ჟორჟი: ბრაზილიელები საქართველოსთვის

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა თავისი ბრაზილიელი მეგობრის და კოლეგის არი გრასას დახმარებით სამხრეთამერიკელ ფრენბურთელებთან მოლაპარაკება შარშან დაიწყო — მათი დაყოლიების შემდეგ საპასპორტო ფორმალობებიც მოგვარდა.

— ერთიც, არ გეგონოთ, რომ ესენი ვინმე ბრაზილიელები არიან და სასეირნოდ ჩამოდიან. რენატო მომავლის მოთამაშედ ითვლება, ხოლო ჟორჟი სამხრეთ ამერიკის 2002 წლის საუკეთესო ფრენბურთელი იყო, ცხადია, პლაჟის ფრენბურთში. ამასთან, ორივეს მსოფლიო ტურები მოუგია.

ბუნებრივია, კითხვაც გაგიჩნდებათ, რატომ არჩიეს ასეთმა ფრენბურთელებმა მაინცდამაინც საქართველო და არა იტალია ან სხვა დალხენილი ქვეყნები.

სიცხადისთვის საფეხბურთო ანალოგიით ვიტყვით, ბრაზილიელებს ფრენბურთში ბევრი რონალდინიო ჰყავთ. ასეთი კონკურენციისას სხვებმა მოტივაცია და ინტერესი რომ არ დაკარგონ, ბრაზილიის ფედერაცია ამგვარი პრინციპით მოქმედებს: გახდი მსოფლიოს ან ოლიმპიური ჩემპიონი, აიღე მედალ-პრემიები და მომავალ ოლიმპიადაზე სხვებს დაუთმე ადგილი. მით უმეტეს, მჯობნის მჯობნი არ ელევათ. ამასთან, რენატოს და ჟორჟის დაყოლიებაში მთავარი ფაქტორი ლევან ახვლედიანის და არი გრასას მეგობრობაც იყო. თუმც ამას უკეთესად თავად ბრაზილიელებთან ინტერვიუდან შეიტყობთ. მათ გუშინ სამშობლოში დავუკავშირდით. თავიდან ჟორჟის გავესაუბრეთ და „გაქართველება“ მივულოცეთ.

— გმადლობთ, რომ დამიკავშირდით. ის, რომ უკვე საქართველოს მოქალაქე ვარ, თქვენგან გავიგე და ძალიან გამიხარდა. ესე იგი, უკვე შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს ნაკრების სახელით მე და რენატო პეკინის ოლიმპიადისთვის დავიწყებთ მზადებას.

— რატომ დათანხმდით საქართველოს სახელით თამაშს?

— შარშან შემოდგომაზე დამიკავშირდა ბრაზილიის ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი არი გრასა. მთხოვა, საქართველოს სახელით თამაშს დავთანხმებოდი. გრასა ბრაზილიაში ძალიან გავლენიანი კაცია და როცა გთხოვს, ანგარიში უნდა გაუწიო. თანაც პატარა აღარ ვარ და მინდა, ერთ ოლიმპიადაზე მაინც ვითამაშო. დიდი როლი ითამაშა ჟილმარიო ბატისტას ფაქტორმაც. ის და მისი ორი თანაშემწე ჩემი და რენატოს წყვილის მწვრთნელები იქნებიან. ბატისტა ათენის ოლიმპიური ჩემპიონების რიკარდუს და ემანუელის მწვრთნელია და მის ხელში ოლიმპიურ ოქროზე ფიქრიც შეიძლება. ჩემი აზრით, დასაკარგი არაფერია, პირიქით, ვფიქრობთ, ყველასთვის მისაღები და სასარგებლო გადაწყვეტილება მივიღეთ. ფინანსებს რაც შეეხება, საქართველოს ფედერაცია მსოფლიო ტურებზე ჩვენს მოგზაურობას დააფინანსებს. ამ ტურებზე საკმაოდ სოლიდური ფულადი პრემიებია და შემოსავალს აქედან მივიღებთ. ჩანაფიქრიც გვაქვს, რომ ჩვენი მოგებული თანხიდან ნაწილი საქართველოში პლაჟის ფრენბურთის მოედნების გაკეთებას მოვახმაროთ. თანაც, როგორც ვიცი, საქართველოში ოლიმპიური ოქროსთვის დიდი პრემიებია. აქ, ბრაზილიაში კი დიდი-დიდი 40-50 ათასი დოლარი მოგცენ. ჩვენი გადაწყვეტილების ერთ-ერთი ფაქტორი ესეც იყო.

— საქართველოში ჩამოსვლას და ჩვენი ქვეყნის უკეთ გაცნობას როდის აპირებთ?

— კონკრეტულად ჯერ ვერ გეტყვით. მოქალაქეობა მოუციათ და პასპორტის ასაღებად ყველა შემთხვევაში მომიწევს ჩამოსვლა. არ დაგიმალავთ და, მეც და რენატოც ძალიან ვღელავთ. როგორც ვიცი, თვით ქვეყნის პრეზიდენტის დონეზე გადაწყდა ჩვენი გაქართველება, თანაც საქართველოს ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი პირველი ლედია და არ გვინდა, ასეთი ხალხი დავაღალატოთ, მათი ნდობა აუცილებლად უნდა გავამართლოთ. რაც შეეხება ჩვენს წარმოდგენას საქართველოზე, გარკვეული ინფორმაცია უკვე გვაქვს. ინტერნეტში ვეძებთ და რაც შეიძლება, ყველაფერს ვიგებთ. ლევან ახვლედიანმა ქართული დროშებიც გვაჩუქა, ოღონდ პატარაა და ახლა ველოდებით, როდის გამოგვიგზავნის დიდ დროშას, სავარჯიშო მოედანზე რომ გავშალოთ. სხვათა შორის, ახვლედიანმა სიდიზე ჩაწერილი საქართველოს ჰიმნიც ჩამოგვიტანა. მისი აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ჰიმნი ვისწავლოთ. ენას კი ვიტეხთ, მაგრამ ვსწავლობთ.

— სად ივარჯიშებთ?

— ბრაზილიაში. ასე უკეთესი იქნება. ჩვენი მწვრთნელებიანად ჩამოსვლა საქართველოს ფედერაციას ძალიან ძვირი დაუჯდება, თანაც საქართველოში პირობები არ არის, აქ კი სამოთხეში ვართ. მთელ მსოფლიოში პლაჟის ფრენბურთის ორი უნიკალური ბაზაა. ერთი რიო დე ჟანეიროშია, მეორე ბრაზილიის შტატ პარაიბაში. ჩვენ პარაიბაში ვართ, ორი სავარჯიშო მოედანი გვაქვს. აქედან ერთი ოკეანის პირას, სადაც ქარი უბერავს. ეს იმიტომ გვჭირდება, რომ ზოგ ქვეყანაში მოედანი ქარიან ადგილასაა და ასეთ პირობებში თამაშს ვეჩვევით. თანაც აქ ძლიერ სპარინგ-პარტნიორებთან გვიწევს ვარჯიში, მარტო მანუელის და რიკარდუს ხსენებაც კმარა. კლიმატური პირობებიც გასათვალისწინებელია, აქ მთელი წელიწადი ზაფხულია.

— საქართველოს სახელით როდის ითამაშებთ?

— მაისის დასაწყისში პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურები იწყება და პირველ ოფიციალურ მატჩს შანხაის ფორზე ვითამაშებთ. მანამდე ბრაზილიაში „ბაჯო ბრაზილიის“ ტურებია და ფორმაში შევალთ. ორი-სამი კვირაა, არ გვივარჯიშია, მაგრამ საპატიო მიზეზი მქონდა.

— რა მიზეზია?

— 14 იანვარს დავქორწინდი.

ჟორჟისთან საუბარს ამით მოვრჩით, მან ტელეფონი მეწყვილე რენატოს გადასცა.

რენატომ, დასამატებელი არაფერი მაქვს, მხოლოდ ერთს გეტყვით, უცოლო ვარ და გამორიცხული არ არის, ჩემი „თანამემამულე“ ქართველი გოგონა შევირთოო. „ქართველი გოგონების გასაგონად ვამბობ, რომ საქართველოში მეუღლის კანდიდატურას ვეძებ“ — გვითხრა მან.

ბრაზილიელი „ქართველები“ ჩვენთან სამი მწვრთნელით ჩამოვლენ. მთავარი მწვრთნელი ოლიმპიური ჩემპიონების, რიკარდუს და ემანუელის გამზრდელი ჟილმარიო „კაჯა“ ბატისტა იქნება. მას ფიზმომზადების სპეციალისტი რიკარდუ როსინი და მწვრთნელის ტექნიკური ასისტენტი ჟილმარიო „ჟუბა“ რიბარი დაეხმარებიან. როსინის თავისი საქმის პროფესორად იცნობენ ბრაზილიაში, ხოლო რიბარი თავისი ულტრათანამედროვე აპარატურით ჩვენი ნაკრების „ვიდეოთვალი“ იქნება. როგორც ლევან ახვლედიანმა გვითხრა, რიბარის ობიექტივს ტრიბუნაზე მჯდომი ქომაგის დამთქნარებაც არ გამოეპარება.

ერთიც: პლაჟის ფრენბურთში მეტსახელების დარქმევა ჩვეულებრივი ამბავია. ოფიციალურ განცხადშიც კი მეტსახელებს წერენ. რენატოს და ჟორჟის ქართულად „მონათლასაც“ უპირებენ. როგორც მათ გვითხრეს, ამ ამბავში მთლიანად გვენდობიან.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა კი ეს გვითხრა:

„სარბიელთან“ ერთად ფედერაცია გამოაცხადებს კონკურს რენატოსთვის და ჟორჟისთვის შესაფერისი მეტსახელების მოსაფიქრებლად. მასში მონაწილეობა ნებისმიერს შეეძლება. რომელი ვარიანტიც მოგვეწონება, იდეის ავტორი საჩუქრად რენატოს და ჟორჟის ავტოგრაფიან პეკინის ოლიმპიადის ოფიციალურ ბურთს მიიღებს“.

ბაჩო სვანიძე

სუმო

ორი ნაბიჯი კატიკოსამდე

გუშინ კოკუგიკანურ ბაშოზე ლევან ცაგურიამ მეექვსე გამარჯვება იზეიმა და ორქულიანი დადებითი ბალანსიც აღიდგინა. „შავმა ზღვამ“ ექსკომუსები კაკიძოეს მაყურებლებში გადაუძახა და დღეს იმპერატორის თასისთვის მებრძოლ ოძეკი ტოჩიაძუმას დაეჭიდება. აქამდე მას რვაჯერ შეხვედრია და ექვსჯერ მოგებულიც დარჩენილა.

იანვრის ბაშოს დასრულებამდე ხუთი ტური რჩება და ჩვენებურმა ორი ქულაც რომ აიღოს, კატიკოსის ნორმატივს შეასრულებს და მომავალ ბაშოს უფრო მაღალი წოდებით დაიწყებს. ამასთან, თუ ორზე მეტს მოიგებს, წოდების გაზრდის შანსიც, შესაბამისად, მოიმატებს.

გუშინდელი დღის მთავარი ამბავი კი ერთპიროვნული ლიდერის, ხაკუტორიკის წაფორხილება იყო. აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა ყველასთვის მოულოდნელად 32 წლის ტოკიცუმისთან დამარცხდა. პირველკაცის წაგებით ყველაზე მეტად იოკოძუნა ასასიორუმ და კოკაის დღევანდელმა მეტოქემ ტოჩიაძუმამ გაიხარეს. პირველმა სეკივაკე კოტომიცუკი დაჩაგრა, ხოლო მეორემ — 175-კილოგრამიანი ექსკომუსუბი ივაკიამა.

ლიდერთა ტრიოს უკან ორწაგებიანი ოძეკი კოტოოსიუ, სეკივაკე ხაკუხო და ვეტერანები — ტოკიცუმი და კიტაძაკურა მისდევენ.

ოთარ მაღლაკელიძე



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge